საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 15 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი**. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 157 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 157

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

**ალექსანდრე და არსენ ლომთათიძეები** ამით აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 16 ივლისს პარასკევს ბახვის (გურია) ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი დედის

### ელისაბედის

სულის მოსახსენებლად. (2—2)

გაუბედურებული დედა ნინო ავთანდილის ასული გაბაშვილისა, გულდათუთქული დები: მანია გაბუნიასი, ალექსანდრა ჰიჰინაძისა, თამარ გიზისა და კატია იაშვილისა თავიანთი ქმრებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას 18 ივლისს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქ. ქუთაისში გოჰოურის ეკლესიაში ტრაღიკულად გარდაცვალებულის

### კოლია პიმენის ძის გაბაშვილის

მამიდა ქვრივი ჰასიკო ივანეს ასული რუსაძისა შვილებით ტარასი, სერაფიონ, პავლე, აგრაფინა, ნინო, თამარი და ოლია გულდათუთქულნი დასტირიან უდროოდ ჩამქრალ ჭაბუკის სიცოცხლეს

### სანდრო სამსონის ძის მახათაძის

რომელიც ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აგარაკ წაღვერში ამა წლის 17 ივლისს, გამოსვენება მოხთება ქუთაისში საკუთარ ბინიდან ფერმის ქუჩა, 15 ივლისს ხუთშაბათს ნაშუადღევის 5 საათზე, დასაფლავება საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე, (2302 1—1)

## მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პრ.) ხუთშაბათს, ივლისის 15-ს გაიმართება

### ლადო მაჭავარიანის
### საღამო

I. **სიტყვები, ლექსები, მინიატიურები**

მონაწილეობენ: გრ. რობაქიძე, დუტუ მეგრელი, ვარ. რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, [illegible]

II. **„საუბედურო დებიუტი"**

მხიარული კომ. 1 მოქ.

წარმოდგენილი იქნება ქართველ მსახიობთა [illegible]

## მუშათა ცენტრალური კლუბში

(პლეხანოვის პრ., სახ. № 123). პარასკევს, 16 ივლისს, გაიმართება

### დიდი სეირნობა

ამხ. ა. ლანდის რეჟისორობით. წარმოდგენილი იქნება [illegible]

### „ჩუდოვიშჩე"

[illegible]

### დივერტისმენტი და კონცერტი

[illegible] (გ. 2—2)

## სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

[illegible] (6. 3—2)

## მესხეთის კოოპერატიული ამხანაგობა
### „მაროლი"

[illegible]

### ფუთფუთი და გაზოგზითი

[illegible] (2163—6—4)

## თელავის სამაზრო ერობაში

[illegible] 1920 წ. (2304—3—1)

## თელავის სამაზრო

[illegible] 1920 წ. **გამგეობა**. (2305—3—1)

1 ივლისიდან გამოდის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორკვირეული ქართულ-რუსული ჟურნალი

## „საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა"

ხელის მოწერის ფასი წლის დამლევამდე 1700 მ. ხელის მომწერლებს კვირაში ორჯერ დაურიგდებათ სავაჭრო ბიულეტენები. მისამართი: თფილისი, ეროვნული საბჭოს ქ. (ყოფილი ფრეილინისა) № 11, ტელეფ. 9—18. (2243—3—3)

## თფილისის მაზრის ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 18 ივლისს, გამგეობის ბინაზე (რუსთაველის პრ., ს. № 6) დილის 10 ს. შესდგება

### მეშვიდე ყრილობა თფილისის
### მაზრის ერობის ხმოსანთა საბჭოსი,

რომელიც განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვის 1920—მის საანგარიშო წლისას და სხვა მიმდინარე საკითხებს. **გამგეობა.** (2299—1—1)

## განცხადება

მიღება სამხედრო სკოლაში განყოფილებებით: ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსანი ჯარისა და საინჟინერო დანიშნულია 1920 წ. 1 ენკენისთვეს.

სკოლაში მიღებულ იქნებიან ახალგაზდანი (საქართველოს ქვეშევრდომნი) წლოვანებით 17—25 წლ.

შენიშვნა: ცოლიანები სკოლაში არ მიიღებიან; სწავლის კურსი 2 წლ.

თხოვნა სამხედრო სკოლის უფროსის სახელზე გამოიგზავნოს ეხლავე შემდეგი დოკუმენტებით:

1) მოწმობა ჯარის კაცთა გაწვევ უბანზე მიწერის შესახებ.

2) ატესტატი საშუალო სასწავლებლის კურსის დამთავრებისა; შეიძლება აგრეთვე ატესტატი და მოწმობა ისეთი სასწავლებლისა, რომელთაც საშუალო სასწავლებლების უფლებები აქვთ მინიჭებული.

3) მოწმობა სამართალში არ ყოფნის შესახებ.

4) მეტრიკული მოწმობა.

5) ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

6) მოწმობა ქვეშევრდომობისა (ასეთი მოწმობა უნდა წარმოადგინონ არა ქართველებმა).

სკოლაში უნდა გამოცხადნენ უსათუოთ 30 მარიამობისთვეს.

სამხედრო სკოლის უფროსის თანამდებობის დრ. ამსრულებელი პოლკოვნიკი **ჩხეიძე.**

სკოლის ადიუტანტი კაპიტანი **ხელაშვილი.** (2300—1—1)

## თელავის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ერთს ბეითალს, ორს მედიც. ექიმს და ორს საბეითლო ფერშალს შემდეგის პირობით: ბეითალს და ექიმებს თვიური ჯამაგირი 7200 მან., ფერშლებს 4200 მ., ექიმებს—გათბობა, განათება და ბინა, ბეითალს და ფერშლებს დღიური 250 მან. რაიონში წასვლის დროს. ექიმები საჭიროა ფშავლისა და ენისლის პუნქტებში. სათანადო თხოვნები და „კურიკულუმ-ვიტე" უნდა წარმოადგინონ გამგეობაში 1 აგვისტომდისინ 1920 წ. **გამგეობა** (2306—3—1)

ექიმი

### ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჟინოვი

იღებს სახებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74. 2048—თ.

## „წითელთა" მეზობლობა

იმ ხანაში, როდესაც კომუნისტები შინაურს კონტრ-რევოლიუციას ებრძოდენ, სანამ ისინი დენიკინ-კოლჩაკის რეაქციისაგან იცავდენ რუსეთს, მათი ძალა-უფლების და მათი პოლიტიკის ნამდვილი ბუნება დაჩრდილული იყო და ისე მკაფიოდ არა ჩანდა. როგორც კი გაქრა რუსეთში შინაური კონტრ-რევოლიუციის საფრთხე, კომუნისტური სახელმწიფოებრივობის ხასიათიც ყველასათვის აშკარა და დასანახი შეიქნა. და რაც უფრო სამხრეთისაკენ მოიწევდენ „წითელი" რაზმები, რაც უფრო შორდებოდენ თავის მშობლიურ კერას —შიდა რუსეთს, რაც უფრო უახლოვდებოდნენ ჩვენს ქვეყანას, მით უფრო ცხადი ხდებოდა ჩვენი დემოკრატიისთვის მათი წმინდა იმპერიალისტური სულიერი განწყობილება. დღეს ჩვენ უკვე სრულიად აშკარათ ვხედავთ, რომ არავითარი განსხვავება არ არის იმ ჯარს შორის, რომელიც შარშან ამ დროს სოჭის, თერგის და ყუბანის ოლქებიდან აწვებოდა ჩვენს ქვეყანას დენიკინის სარდლობით და იმ ჯარს შორის, რომელიც ადერბეიჯანის მხრიდან მოაწვა მას (და მიუხედავად ზავისა, ჯერ კიდევ აწვება) ლევანდოვსკის მეთაურობით.

ორივე ჯარი ერთმანეთისაგან დიდათ არ განსხვავდება: დენიკინის შავი ლაშქარიც და ლევანდოვსკის „წითელი" ლაშქარიც შემდგარია უმეტესად ისევ იმ ნიკოლოზის სალდათებისაგან, რომლებიც 1914 წლიდან თავის სოფლებს მოაშორეს და დღემდის ჯერ კიდევ სახლში ვერ დაბრუნებულან. კიდევ უფრო მეტი: დღევანდელი „წითელი" ჯარების ძალიან დიდი ნაწილი დენიკინის და კოლჩაკის სამსახურში ნამყოფებია და ამ შავი გენერლების მიერ მოწყობილი. შარშან დენიკინის ყაზახების შიშით ისინი იძულებულნი იყვნენ „მოხალისეთა" არმიაში შესულიყვნენ, წელს კი კომუნისტების შიშით იძულებულნი გახდენ ტროცკის ჯარში ჩარიცხულიყვნენ.

**სულიერი განწყობილება** დენიკინის ჯარისა და ლევანდოვსკის ჯარისა ერთი მეორისაგან არაფრით არ განირჩევა. **მიზნები** ორივესი სრულებით ერთნაირია. დენიკინის მიზანი იყო — „რუსეთის აღდგენა", მისი გაერთიანება ძველ საზღვრებში, ე. ი. მის საზღვრებში დაბრუნება იმ სახელმწიფოებისა, რომლებმაც რუსეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება მოაწყვეს. ტროცკის ჯარის ამიერ-კავკასიაში მოსვლასაც არავითარი, სხვა აზრი არა აქვს, გარდა რუსეთის აღდგენისა. განსხვავება მხოლოდ სიტყვებში, ფრაზეოლოგიაშია: დენიკინის ლოზუნგი იყო „დიდი რუსეთის აღდგენა", ე. ი. წინანდელი, რეაქციონური წესების დაბრუნება; საბჭოთა რუსეთის ლოზუნგია—საბჭოთა წესების გავრცელება ყველა ქვეყნებში. ჩვენი ქვეყნისათვის კი ამ ორ ლოზუნგს შუა არავითარი სრულიად არავითარი განსხვავება არ არის: ერთსაც და მეორესაც მოაქვთ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა, დემოკრატიის განადგურება, ეროვნული დამონება, რუსეთის დიქტატურა, ჩვენი კულტურული და ეკონომიური დაქვეითება.

დენიკინის ჯარი მოიწევდა ამიერ-კავკასიისაკენ უმთავრესად იმ მიზნით, რომ ხელში ჩაეგდო ქ. ბაქო და მისი ნავთი, ურომლისოდაც რუსეთს ძლიერ უჭირს ცხოვრება. „წითელი" ჯარების გამოლაშქრებასაც ისევ ეგ მიზანი ჰქონდა და მოსვლის პირველი დღიდანვე ისინი აუარებელ ნავთს ეზიდებიან ბაქოდან. როგორც თვითმპყრობელობის დროის, ისე დენიკინის, ისე საბჭოთა რუსეთისათვის ქ. ბაქოს დაპყრობა მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ მთელი ამიერ-კავკასია რუსეთის ნაწილი იქნება. ამით აიხსნება ამ სამივე რუსეთის სრულიად ერთნაირი მოწევა საქართველოსაკენ და სომხეთისაკენ.

თუ არის რაიმე განსხვავება ძველი რუსეთის შავ ჯარსა და ახალი რუსეთის „წითელ" ჯარს შორის, ეს განსხვავება ახალის სასარგებლოთ არას ამბობს. რუსეთის ეკონომიური ცხოვრება ელვის სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ. იმ სარჩო-საბადებელს, რაც დაგროვილი იყო ძველ რუსეთში, არაფერი არ მომატებია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. ამ ხანში იჭმებოდა და ნადგურდებოდა ძველი თაობის მონაგარი. საქმე ბოლო დროს იქამდის მივიდა, რომ რუსეთს თავისი საკუთარი ჯარის შენახვაც კი ძლიერ უჭირდება. ჯარი თავს ინახავს იმით, რომ რომელიმე ადგილას მივა და მცხოვრებლებს წაართმევს მთელს სარჩო-საბადებელს. ცხოვრობს ამ ადგილას, სანამ არის წასართმევი. როდესაც მცხოვრებლებს აღარაფერი დარჩებათ, „წითელი" ჯარი განაგრძობს თავის „სამხედრო" მოქმედებას და ახალი „პურიანი" ადგილის დაპყრობას.

ამნაირი აშკარა **მაროდერული** ბექედი ასვია წითელი ჯარის მოქმედებას უკანასკნელ ხანებში. და, რაც უფრო დამახასიათებელია, „წითელი" სარდლობა კიდევაც აქეზებს „წითელ" არმიას ამნაირს მტაცებლურ-ყაჩაღურ მოქმედებაში. ასეთი წაქეზებაა, მაგ., ის ბრძანება, რომელიც გამოსცა კომუნისტურმა სარდლობამ ქ. ხარკოვში მცხოვრებთა „ექსპროპრიაციის" შესახებ.

მგრამ ეს მტაცებლურ-ყაჩაღური ხასიათი „წითელი" არმიის სამხედრო მოქმედებისა არსად არ ყოფილი ისე აშკარა, როგორც ბედკრულ ადერბეიჯანში. ქ. ბაქოდან გატანილია ყველაფერი, რის გატანაც კი შეიძლება. სიმდიდრით განთქმული ქალაქი კომუნისტების შესვლის მეორე კვირაზე ღარიბლატაკთა და მშიერ-მწყურვალთა ქალაქად გადაიქცა. რაც კი ქალაქში სარჩო-საბადებელი იყო, მოსკოვში გაგზავნეს: მარტო ლენინს „საჩუქრად" გაუგზავნეს 124 ვაგონი (ე. ი. 124 ათასი ფუთი) პირველი საჭიროების საგნები: შაქარი, ქიშმიში, პური და სხვა. ასეთივე „ნებაყოფლობითი" მსხვერპლი დღეს ადერბეიჯანის გლეხებსაც ხვდებათ: „წითელ არმიელები" დათარეშობენ მათ სოფლებში და უკანასკნელ ლუკმა-პურს ართმევენ.

ეჭვი არ არის, რომ პატარა ადერბეიჯანი ბევრ ხანს ვერ გაძლობს დიდს რუსეთს: მისი სარჩო-საბადებელი ბევრიბევრი რამდენსამე თვეს ეყოს სამი წლის უჭმელ-უსმელ „წითელ არმიელებს". მათს სარდლობას დღესვე თავდარიგის დაჭერა სჭირდება, რომ „წითელ" ჯარების გამოსაკვებათ შემდეგი „ეტაპი" გამონახოს.

ადერბეიჯანის შემდეგ ეს „ეტაპი", ეჭვი არ არის, უნდა საქართველო იყოს. საქართველო მთელ ძველ რუსეთში ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც არ განადგურებულა ის სიმდიდრე, რაც უწინ იყო დაგროვილი, თფილისი არ შეიძლება მეტათ გემრიელ ლუკმათ არ მოეჩვენოს „წითელ" არმიას. და როგორც დამშეული მგელი არ შეიძლება არ ემგეროს რკინის გალიას, რომელშიაც გემრიელ ხორცს დაინახავს, ისე შეუძლებელია „წითელი" ჯარები თფილისზე კბილებს არ ილესავდენ. ათასი რომ ზავი შეჰკრათ, „წითელ არმიელების" თფილისისაკენ ლტოლვას ვერ შეაჩერებთ. ეს ლტოლვა სტიქიონია შიმშილისაგან გამხეცებული ბრბოსი.

დაახლოვებით ერთი წელიწადი სჭამეს კომუნისტებმა შიდა რუსეთი. როდესაც იქ შესჭამეს, რაც კი შეიჭმებოდა, უკრაინას ეძგერნენ, წაართვეს, რაც კი მოახერხეს და რაც კი მოასწრეს, და წანართმევით რამდენსამე ხანს გამოიკვებეს თავი; შემდეგ კალიასავით შეესიენ დონს, ყუბანს და თერგს. მათ გატყავების შემდეგ—ბაქო და ადერბეიჯანი, შემდეგ სპარსეთი („წავიდეთ სპარსეთში ბრინჯის გამოსატანათ!"-იყო მათი ლოზუნგი). უკანასკნელი ცნობებით „წითელი" ჯარი უკვე სომხურ ყარაბახს შესევია.

ამ **შესევითი** პოლიტიკის მსხვერპლად კომუნისტებმა მხოლოდ საქართველო ვერ გადააქციეს. მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ამ გემრიელი ლუკმის ხელში ჩაგდება, თფილისიდან ლენინისათვის „საჩუქრად" ხუთასიოდე ვაგონ სანოვაგის გატანა, საქართველოს გლეხებისაგან „ნება-ყოფლობით" პურის ჩამორთმევა და მისი გაგზავნა მოსკოვისაკენ დამშეულ კომისარების გამოსაკვებათ.

საქართველოს დემოკრატიას ნათლად გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ასეთი სულიერი განწყობილება თავისი „წითელი" მეზობლისა.

## რუსეთის ფრონტებზე

პოლონეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარებმა მთელი რიგი ქალაქებისა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილები დაიჭირეს. პოლონეთის ჯარი უკან იხევს და, როგორც სჩანს, შეტევაზე გადასვლის უნარი დაჰკარგა. თუ დღემდის ომი რუსეთის ტერიტორიაზე სწარმოებდა,—დღეს ის თვით პოლონეთის ტერიტორიაზე გადადის და ასე, მთელი პოლონეთი ომისგან განადგურების და აოხრების წინაშე სდგას.

ომის დაწყებამდე პოლონეთი არ კმაყოფილდებოდა თავის საკუთარი ტერიტორიით და გატაცებული პილსუდსკის ავანტიურით და ბაქიაობით ზავზე და მშვიდობიანი გზით საქმის დათავებაზე ლაპარაკი სასაცილოთ არ ყოფნიდა. პოლონეთის სოციალისტები უძლური გამოდგენ პილსუდსკის და კომპანიის ავანტიურისათვის საზღვარი დაედოთ. ქვეყანა ომის ცეცხლში გაეხვია და მისი შედეგია გარდა ადამიანთა მსხვერპლისა მისი ეკონომიური და კულტურული განადგურება. პოლონეთის ბურჟუაზია, ისე როგორც ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, ცეცხლს ეთამაშებოდა და ახლა ამ ცეცხლით იწვის და დაიწვის არა ის იმდენათ, რამდენათ პოლონეთი ღარიბების, პოლონეთი ლატაკებისა. ბურჟუაზია ეჭვი არაა შესძლებს საფრთხიდან თავის დაღწევას და მის მოკავშირე ევროპის ბურჟუაზიის მდიდარ კალთას შეაფარებს თავის მზაკვარ და მოღალატე თავს. ასეთი იყო ბურჟუაზია ყველგან. ასეთია ის პოლონეთშიაც.

პოლონეთის პირველ ხანებში გამარჯვებამ და ამაყურმა წინსვლამ ბუნაგიდან გამოიყვანა ყირიმის შავი გენერალი ვრანგელი, ის ვრანგელი, რომლთან შეთანხმებას ინგლისის მინისტრი კერზონი ბალშევიკებისაგან მოითხოვდა. ბალშევიკები მაშინ, ფორმალურათ მაინც, დათანხმდენ ამ მოლაპარაკებაზე და თუ არ მოხდა შეთანხმება,—ამის მიზეზია, ჩვენის აზრით, პოლონეთის დროებითი გამარჯვება.

ასეა თუ ისე შავი გენერალი დაიძრა და შიგნით რუსეთისაკენ მიიწევს.

თუ დაუჯერებთ იმ აუარებელ იმფორმატორებს, რომლებიც ათასგვარ იმედებს ამყარებენ ვრანგელის წინსვლაზე —უნდა ვიფიქროთ რომ ვრანგელი მალე დაიპყრობს მთელ რუსეთს, მით უმეტეს რომ ვრანგელმა უარჰყო ის რეაქციონური გზა, რომელიც ახასიათებდა დენიკინის პოლიტიკას და რომელმაც ის დაღუპაო.

ვინც ასე მსჯელობს, ცხადია, მას თავისი სურვილი სინამდვილეთ გამოაქვს, ხელმძღვანელობს შურისძიების გრძნობით და არ ესმის, რომ ვრანგელს და მის ლაშქარს არას დროს არ შეუძლია შეურიგდენ ყოველივე იმას, რასაც შეუძლია ხალხის დაკმაყოფილება. ხალხს უნდა მიწა და თავისუფლება. ვრანგელს არც ერთის და არც მეორის მიცემა არ შეუძლია. ამაშია მისი ტრაგედია და თუ დღეს ის სიტყვით მაინც უხვათ არიგებს მიწებსაც და თავისუფლებასაც, ეს მხოლოდ შავი გენერლის თვალთმაქცობაა და ამ თვალთმაქცობით დღეს აღარავის მოტყუება აღარ შეიძლება. ამიტომ ვრანგელის წინსვლა და გამარჯვება—ეს მხოლოდ დროებითი ხასიათისაა. მას შეუძლია შექმნას არევ-დარევა, გაამწვავოს ისედაც გამწვავებული მდგომარეობა, რასაც ხელს უწყობს და საზრდოს აძლევს ბალშევიკების პოლიტიკა. მარა საბოლოოდ კი იგემებს იმ მწარე ხვედრს, რომელიც წილათ ხვდა მის წინამოადგილეს—დენიკინს. არც ის ლიბერალური ჩმახვაა, ანგარიშში მისაღები, რომელსაც ვრანგელი და მისი ამალა[illegible]ასე უხვათ აპნევენ. ეს იქნება მანამ, სანამ შავი ლაშქარი მომაგრდება და მოსკოვს დაუახლოვდება. მარა როცა ეს მოხდება, რაც ჩვენ სულ არ გვინდა, მაშინ დაიწყება მონარქიის ძებნაზე და ტახტის აღდგენაზე ჩვეულებრივი ლათაიები. ასეთია ბუნება ყველა შავი რეაქციისა და ეს არ უნდა იქნას დავიწყებული არც ერთი წუთით.

რუსეთს უნდა ზავი და მშვიდობიანი ცხოვრება. სხვაფრივ მისი აღდგენა შეუძლებელია და ვინც ფიქრობს ხიშტის საშუალებით თავის მდგომარეობის აღდგენას, თუ განმტკიცებას ის ხიშტითვე დაიღუპება... **განი.**

## პრესა

კომუნისტები მახეში გაებნენ. ამას თითონაც კარგათ გრძნობენ და მათი პრესა ხან აქეთ ეხეთქება, ხან იქით. თფილისში კომუნისტები აწყობდენ გამოსვლას. რომ გამოსვლა სერიოზული იქნებოდა, ამაში ისე იყვნენ დარწმუნებულნი, რომ წინდაწინვე იყო გაგზავნილი ბაქოს „კომუნისტში" ცნობა, თფილისში დიდი გამოსვლა მოხდა, მენშევიკების მთავრობამ მიტინგს ჯარი მიუსია და მრავალი ხალხი გაჟლიტაო. ამ ცნობის გამო ბაქოს „კომუნისტმა" აღვირწახსნილი დემაგოგია გასწია ბაქოს მუშებში „რამიშვილის ახალ საგმირო საქმეებზე". ამავ დროს თფილისში „კომუნისტების" (რუსულის და ქართულის) წერილებიდანაც და კომუნისტების ც. კ—ტის განცხადებიდანაც აშკარად ჩანდა, რომ თფილისში რაღაც მზადდება. ყველაფერი დახჩანს, რომ კომუნისტებს ნახტომი შეეშალათ, თფილისში გამოსვლა უიმედო და უაზრო გამოდგა. მათ მიერ გალესილი იარაღი მათ წინააღმდეგ მიიმართა.—თფილისის პროლეტარიატმა ყველა პროფ. კავშირების გამგეობათა კრებაზე მრისხანედ აიმაღლა ხმა მათ წინააღმდეგ და საქართველოს მთავრობას მოსთხოვა კიდევ უფრო მკაცრი ზომები კომუნისტების პროვოკაციის მოსასპობად. რუსული და ქართული „კომუნისტები" მაინც ცდილობენ თავი დააღწიონ იმ სასირცხვილო მდგომარეობას, რომელშიაც ჩაცვივდენ და თავისებურად ხსნიან ბაქოს გაზეთში ასე გაუფრთხილებლად გამომჟღავნებულ შეთქმულობას:

„აქ უფრო გამოსჭვივის სულ სხვა მოსაზრება-მიზნები, აქ თავს იჩენს სავსებით ხელოვნური აურზაური, რომლითაც უნდა დაიფაროს და უნდა გამართლებულ იქნას ერთი მოვლენა. მართლაც, რა შუაშია, რა დამოკიდებულება აქვს აზერბეიჯანელ გაზეთის ყალბ დეპეშას საქართველოს კომუნისტებთან, იმ კომუნისტებთან, რომლებიც დიდი ხნიდან მოკლებული არიან ბაქოს გაზეთების მიღების საშვალებასაც კი და აქამდის ხელშიაც არ კავებიათ ბაქოს „კომნიუსტის"

ე რ თ ო ბ ა

157

# დღეს

**საზავო პირობების შესახებ ოსმალეთმა მეორე ნოტა გაუგზავნა მოკავშირეებს.**

**ჩეხო-სლოვაკიისა და პოლონეთს შორის საზღვრების გასწორების საკითხი უმაღლესმა საბჭომ ელჩთა კონფერენციას გადასცა.**

**„ფიგაროს“ ცნობით ბალშევიკების ჯარები ენზელს სტოვებენ.**

**მარშალ ფოშის აზრით მოკავშირე სახელმწიფოებს შეუძლიანთ აღმოსავლეთის ბატონებათ დარჩენა, თუ მათ შორის თანხმობა იქნება დაცული.**

არც ერთი ბოლო თვეების ნომრები, არ უხილავთ არც ის ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია ყალბი დეპეშა განჯიდან? არაფერ შუაში ვართ, განვაცხადეთ ჩვენ თავის დროზე და მაშინვე ვუწოდეთ შესაფერისი სახელი როგორც დეპეშას ისე მის ავტორს. მაგრამ, როგორც გაზეთები, ისე მათი ჩამძახე „პოლიტიკოსები“ სრულიად გვერდს უვლიან ჩვენს განცხადებასაც, აშკარა ფაქტებსაც და საარაკო უსინდისობით გაიძახიან: ეს დეპეშა თქვენი ფარული განზრახვების, თქვენი საომარ სამზადისის მამხილებელიო“.

რაღა დარჩენიათ კომუნისტებს, თუ არა ასეთი სულელური ახსნა. საქმეც სწორეთ იმაშია, რომ ბაქოს „კომუნისტში“ დაბეჭდილი ცნობა თფილისის მუშების წასაკითხავათ კი არ იყო დაბეჭდილი (მათ როგორ მოატყუებდით, თფილისში აჯანყება მოხდაო), არამედ ბაქოს პროლეტარიატის ასამხედრებლად საქართველოს წინააღმდეგ. თუ დეპეშა ბაქოს „კომუნისტში“ დაბეჭდილი „ყალბი“ იყო და თუ მისი ავტორის ვინაობა საეჭვოა, იმ ფაქტს ხომ ვერ დამალავთ რომ ეს „ყალბი“ დეპეშა ბაქოს „კომუნისტმა“ სადემაგოგიოთ გამოიყენა და, მაშასადამე, გაიზიარა მისი ავტორის პასუხისმგებლობა! არა, ბატონებო, თუ ცრუობთ,—იცრუეთ ისე, რომ სიცრუეში ცოტაოდენი ლოღიკა მაინც იყოს.

***

ქართული კომუნისტი“ ამხ. ს. დევდარიანს „დენიკინელობას“ უკიჟინებს. ამას გაზეთი ამყარებს ს. დევდარიანის მიერ ხარკოვის ჟურნალში მოთავსებული წერილის ერთად-ერთ ფრაზაზე, რომელშიაც შემდეგი აზრი იყო გატარებული: ბალშევიკები სუბიექტიურათ რევოლიუციისაკენ ილტვიან, მაგრამ ობიექტიურათ რეაქციას უმზადებენ ნიადაგს; დენიკინი კი, პირიქით, სუბიექტიურათ რეაქციისაკენ მიილტვის, მაგრამ ობიექტიურად ბალშევიზმს ამაგრებს. ჩვენც და ბალშევიკებიც ამას ძველი ცარიზმის შესახებაც ხშირად ვიმეორებდით: თვითპყრობელობა თავის აშკარათ—უგუნურ პოლიტიკით რევოლიუციას ამზადებს და, მაშასადამე, უევოლიუციურ როლს თამაშობსო. მაშინ ვერც ერთი ჭკუათ მყოფელი ადამიანი ვერ დაგვწამებდა, ამით თვით მპყრობელობას აქებ-ადიდებო. დღეს კი „კომუნისტი“ შარს ეძებს... ამხ. დევდარიანმა ამაზე უპასუხა, სწორეთ ამ წერილისთვის დენიკინმა დაკეტა ჟურნალიო. რა ითქმის ამის წინააღმდეგ? მაგრამ კომუნისტებს განა რაიმე ლოღიკური მოსაზრებით ჩააჩუმებთ? ისინი მაინც განაგრძობენ ინსინუაციებს:

„დიდი და ქვის გამრღვევი ატესტატით მოაქვს თავი ბ. დევ—ანს: დენიკინის განკარგულებით დაიკეტა ჩემი ჟურნალიო! ალბათ კომიზმის გრძნობა სულ დაკარგვია მას, თორემ აბა რა გასახსენებელი იყო (და ისიც განმეორებით) ეს? ნიკოლოზის მთავრობას არა ერთხელ „დაუკეტია“ გაზ. „ნოვოე ვრემია“, „მოსკოვსკ. ვედომოსტი“ და სხვა ასეთი რეპტილიები. საქართველოს მთავრობის განკარგულებით მგონი ათჯერ მაინც შეჩერებულ ყოფილა და დახურულიც გაზ. „გრუზია—ვოზროჟდენიე“, მაგრამ განა შეუძლია „გრუზიას“ გაიმეოროს ბ. დევდარიანის ფიცი?“.

საცოდავი ქაღალდი ყველაფერს იტანს, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვის ცოტაოდენი პატივისცემაც უნდა გქონდეთ, როდესაც ამნაირი სრულიად შეუსაბამო შედარება მოგყავთ. ჩვენ იმას გიმტკიცებთ, რომ დენიკინმა ჟურნალი სწორეთ იმიტომ დახურა, რომ მისი პოლიტიკა ამხ. სანის წერილში **მტრულის** კილოთი იყო დახასიათებული. თვითმპყრობელი მთავრობა კი თავის **მომხრე** გაზეთებს ზოგჯერ კეტავდა **უგუნურ მომხრეობისთვის.**

სჩანს, რომ „კომუნისტს“ სულ აღარ დარჩენია რა სათქმელი.

## დამფუძნებელი კრება

ივლისის 13.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარე მიმართავს დეპუტატებს შემდეგი სიტყვით: „ამ დღეებში გარდაიცვალა დამფუძნებელი კრების წევრი ლავროსი კილურაძე. ულმობელმა სენმა არ მისცა მას საშვალება დამფუძნებელ კრების მუშაობაში მიეღო მონაწილეობა. ლავროსი კილურაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თავისუფლების მოპოვების საქმეში. თუ ჩვენ წილად გვხვდა გამარჯვება, ამაში ლავროსსაც მიუძღვის წილი. ძველ რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგში მას ერთი პირველი ადგილთაგანი ეჭირა და ძველმა რეჟიმმა უკრა მას თავი შორეულ ციმბირში, სადაც შეპყრობილ იქნა იგი ულმობელი სენით. წინადადებას ვიძლევი ფეხზე ადგომით პატივი სცეთ ლავროსი კილურაძის ხსოვნას“.

დეპუტატები დგებიან.

შემდეგ ამისა მოსმენილ იქნა ისპანიის გენერალურ კონსულის მისასალმებელი დეპეშა დამფუძნებელ კრებისადმი ბათომის შემოერთების შესახებ.

**ივ. გომართლის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები: კანონისა ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების შესახებ; სანახაობა, გასართოობებსა და წარმოდგენებზე დასასწრები ბილეთების დაბეგვრისა სხვა და სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა და დამსახურებულ მოღვაწეთა სასარგებლოდ და ტექსტი კანონისა საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის დაარსების შესახებ.

მისივე მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა ახალციხის მაზრის სოფ. აწყურის და ადიგენის ამბულატორიის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**ს. ჯაფარიძის** მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.

**ივ. გომართელი** მოახსენებს კანონ-პროექტს საკლავ საქონელზე გადასახადის გადიდებისა. კანონ-პროექტმა მცირეოდენი კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო შ. ქარუმიძემ და თვით მომხსენებელმა.

**მ. რუსია** მოახსენებს დეკრეტს ქალაქებისა და მაზრების დამშეულ მცხოვრებთა დასახმარებლად 55 მილ. მან. გადადების შესახებ.

**დ. ონიაშვილი** საბიუჯეტო საფინანსო კომისიის სახელით აცხადებს, რომ ზემოხსენებული კომისია იზიარებს თვითმართველობის კომისიის აზრს და საჭიროდ მიაჩნია კანონ-პროექტში აღნიშნული 55 მილ. მან. დაუყონებლივ გადაიდოს დამშეულთა დასახმარებლად.

**სამ. დადიანი** აღნიშნავს, რომ კარგა ხანია, რაც აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდენ პროვინციები მოუსავლობის გამო. ამ ოთხი თვის წინათ ჩვენ მოვითხოვდით ისეთ კომისიის დაარსებას, რომელიც გამოიკვლევდა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას მოსავლის მხრით. ეს არ იყო მიღებული და ის აზრი იყო გამოთქმული, რომ თვით მთავრობამ უნდა მიიღოს ასეთი ზომებიო. შემდეგ ორატორი ჩამოსთვლის იმ კუთხეებს, სადაც ხალხი დამშეულა. წარმოდგენილი კანონ-პროექტის მომხრენი ვართ ჩვენ და მიგვაჩნია საჭიროდ მომავლისთვის მაინც იქნას გამოკვლეული სად რა მოსავალი მოვა, რომ ყოველგვარი მოულოდნელობა თავიდან აცდენილ იქნას.

**მომხ. რუსია,** უპასუხებს რა დადიანს, აღნიშნავს, რომ გაჭირვება რომ დიდია, ეს კარგად გვესმის. და ამიტომაც ასე სასწრაფოდ იქნა შემოტანილი ეს კანონ-პროექტი, რომლის საბოლოვო ტექსტი სოც.-დემ. ფრაქციის წინადადებით დღესვე იქნება მიღებულიო. დეკრეტი მიღებულ იქნა. მის საბოლოვო ტექსტს კითხულობს ივ. გომართელი. მდივანი კ. ჯაფარიძე კითხულობს სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის დეპეშას, რომლითაც ულოცავენ დამფუძნებელ კრებას ბათომის ოლქის დედა საქართველოსთან შემოერთებას. დამფუძნებელი კრება ავალებს თავის პრეზიდიუმს საპასუხო დეპეშა გაუგზავნოს მეჯლისს.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**„უმსგავსოებას ბოლო უნდა მოეღოს!“** (წერილი რედ. მიმართ). ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ სპეკულიანტებზე, რომლებიც ჯიბეებს ისქელებენ მუშებისა და წითელ არმიელების ხარჯზე „პიროჟკების“ გაყიდვით; მაგრამ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს და ან კი ვინ უნდა მიაქციოს ყურადღება, თუ კი ყველა დაწესებულებებში „თავისიანები“ სხედან. რომ ამ „თავისიანებს“, რომლებიც გამოსულნი არიან ჩვეულებრივ ბურჟუებიდან და გადაიქცენ „სოვბურებათ“, ეცხოვრათ ცოტა ხნით მაინც მუშების ალაგზე,—ისინი გაიგებდენ, რომ ის თეთრი პური, რომელიც „პიროჟკების“ გამოსაცხობათ მიდის, შექმნილია მუშათა და წითელ არმიელთა „სუბოტნიკებითა“ და „ვოსკრესნიკებით“; დაინახავდენ, რომ მუშები და წითელ არმიელები შიმშილობენ, რომ წითელ არმიელებს არ აქვთ შენობა, სადაც უნდა მოათავსონ შკოლები წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ, ვინაიდან ყველა შენობები დაკავებულია „პიროჟკების“ მაღაზიებით. ბოლო უნდა მოეღოს ასეთ უმსგავსოებას! არაა დასაშვები, რომ ერთი სუქდებოდეს ტკბილ „პიროჟკებით“, ხოლო მეორემ შიმშილისაგან კბილები აკწკაწოს. წით.-არმ. **ბელინსკი-ვოლკოვი.** („ნა სტრაჟე რევოლიუც“. 64).

და ეს ხდება საბჭოთა რუსეთში. ეს არის, ალბათ, კომუნისტური „სოციალიზმი“!..

**ოსმალო სტუმრები მოსკოვში.** მოსკოვში ჩამოვიდნენ ოსმალეთის ცნობილი მოღვაწეები: ხალილ-ფაშა, ფუადი და ჯემალ-ფაშა. ხალილ ფაშა კუტ-ელ-ამარის გმირია, რომელმაც ინგლისელები დაამარცხა ბაღდადთან. იგი დიდი ხნით იყო მოთავსებული საპყრობილეში, საიდანაც საბჭოთა რუსეთში გაიქცა. ამხანაგი ფუად-ფაშა—ოსმალო კომუნისტია. ამხ. ჯემალ-ფაშა სირიაში ინგლისელების წინააღმდეგ მოქმედ ოსმალო ჯარების სარდალი იყო. („ტრუდ. ჟიზნ.“, № 30).

საბჭოთა რუსეთის კომუნისტები და ოსმალეთის ფაშები—ფერი ფერსაო, რომ იტყვიან, სწორედ ესაა.

**სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიღება.** მკაცრი ბლოკადის რგოლი, რომლითაც მოკავშირეები ორი წელზე მეტია ავიწროებდენ რუსეთს, ეხლა უკვე დამსხვრეულია. რუსეთში მოვიდა 150 ვაგონი სასოფლო-სამეურნეო მანქანები რომლებიც საბჭოთა მთავრობამ უცხოეთში შეიძინა. უკვე ვიყიდეთ 2,500 სათიბი მანქანა, 3,000 ფოცხი, 250—სალეწი მანქანა, 1000 სეპარატორი და სხვა იარაღები. ჯერ-ჯერობით შემოტანილია რუსეთში მხოლოდ მესამედი იმისა, რაც უცხოეთში არის შეძენილი. მიღებული მანქანები განაწილებული იქნება გუბერნიებ შორის. („ტრუდოვაია ჟიზნ“, № 30).

ამას წინად ჩვენ საბჭოთა რუსეთის კომუნისტურ გაზეთებიდან ცნობა გვქონდა გადმობეჭდილი იმის შესახებ, თუ როგორ დასაჯეს „როსტას“ სააგენტოს თანამშრომელი გაზეთებისთვის ყალბი ცნობების მიწოდების გამო ამერიკიდან ორთქლმავლების მიღების შესახებ. უნდა ველოდეთ, რომ ვინმე ამ ცნობის მიწოდებისთვისაც იქნება დასჯილი!..

**საბჭოთა მთავრობის ნიშან-წყალი რუსეთის სოფელში.** გაზეთ „სოვეტსკი დონის“ მე-104 ნომერში მოთავსებულია პეტრე კულიგანის წერილი, სადაც ავტორი აცნობს მკითხველს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მან მიიღო კალაჩიდან როსტოვამდე მგზავრობის დროს. ავტორის სიტყვით, ზოგიერთ სტანიცებში საბჭოთა ძალა-უფლება გამოიხატება იმაში, რომ „ისპოლკომის“ თავზე წითელი დროშა ფრიალებს, სხვა არავითარი ნიშან-წყალი არ არის იმისა, რომ იქ საბჭოთა მთავრობა იყოს დამკვიდრებული. ქალაქებში წინათაც იყო და ეხლაც არის კინემატოგრაფები, კლუბები, საქონელი მტკიცე ფასებში იყიდება. სოფლებში ამის მსგავსი არაფერია. მე, ამბობს ავტორი, ყური მოვკარ ერთი ყაზახის საუბარს. იგი იძახდა: „სად არის ერთობა? სად არის განხორციელებული ლოზუნგი: ყველაფერი მშრომელთ? შეიძლება ეს იყოს ცენტრში. აქ კი, ქაღალდის კომუნისტების პოლიტიკა არისო. სტანიცებში უკმაყოფილება არის სავნორხოზმით, პროდკომით, ნარობრაზომით. უჩივიან მათ, რომ თანამდებობის პირნი ცუდათ გვეპყრობიანო. მასწავლებლები სტანიცებში საბოტაჟნიკების წარმომადგენლებათ ჩაითვლებიან. მათი ლოზუნგი არის „გაუმარჯოს სიზარმაცეს“! ავტორი დასწრებია მასწავლებელთა ერთ ყრილობას, სადაც ყრილობის მონაწილენი მხოლოდ ერთ მთავარ საკითხის გარჩევას ანდომებდენ დროს, ეს იყო მატერიალურათ უზრუნველყოფა თავიანთი თავისა. რაც შეეხება ხალხის კულტურულათ მაღალ დონეზე დაყენებას, ეს კითხვა მათ არ აღელვებთ“.

ერთი სიტყვით, საბჭოთა მთავრობა არსებობს და არსებობს, მხოლოდ მის არსებობას გამოხატავს... წითელი დროშა „ისპოლკომის“ სადგომზე აფრიალებული.

**ზომები საბოტაჟის წინააღმდეგ.** სისუფთავის კვირის ცენტრო-კომისიამ დონის როსტოვში განუცხადა „როსტვიდს“, რომ სასანიტრო და ჯარების უწყებები სჩივიან, რომ დროზე არ სწარმოებს იმ შენობების დასუფთავება, რომელიც მათ უჭირავთ. ზოგიერთ შემთხვევაში გამოაშკარავდა, რომ თვით მუშები დიდ გულგრილობას იჩენენ. ხშირია შემთხვევები, როდესაც შენობის შესაკეთებელი მასალა მზად არის, მუშები მაინც არ მუშაობენ. ცენტრო-კომისია ატყობინებს „როსტვიდს“, რომ იგი მოვალეა საბოტაჟნიკი მუშები სასამართლოებს გადასცეს. („სოვეტსკი დონ“ № 102).

**ბრძოლა ბანდიტებთან.**

**ეკატერინოსლავი.** 14 ივნისს ნავსადგურზე გამოჩნდა ჯგუფი ბანდიტებისა, რომლებიც გარს შემოერტყნენ მილიციელებს და ლამობდენ მათ განიარაღებას. მილიციონერებმა გაარღვიეს წრე და დახვრიტეს 15 ბანდიტი.

**ეკატერინოსლავი.** ამავე დღეს მილიციამ მიაგნო ბანდიტების კვალს და ალყა შემოარტყა. ბანდიტებმა მილიციას სროლა აუტეხეს. მოკლული აღმოჩნდა ცნობილი ყაჩაღი ქელეზნი. ბანდიტების მეთაური, სახელწოდებით „მოგოროდიცა“ შეპყრობილ იქნა. „სოვეტსკი დონ“ № 102).

ეს ხდება დიდ ქალაქში—ეკატერინოსლავში. თუ რა უნდა ხდებოდეს ამ მხრით სოფლად, ეს ვგონებთ, თავის თავად ცხადია...

**ჯარის ნაწილები და ლაზარეთები ნაგავში იხრჩობა.** „სისუფთავის კვირის ცენტრო-კომისიამ როსტოვში შემდეგი ბრძანება გამოსცა: „რადგანაც 15 ივნისს ციხის მოედანზე არ გამოეცხადა მობილიზაციით გამოწვეულნი საკმაო რიცხვი „პოდვოდებისა“, ცენტრო-კომისია მოუწოდებს სამილიციო რაიონის უფროსებს გასცენ ბრძანება, რომ არც ერთი „პადვოდი“ გარდა სამხედრო ტრანსპორტისა 16 ივნისიდან არსად გაუშვან, თუ არ ექნებათ ცენტრო-კომისიის ბრძანება ამის შესახებ. ცენტრო-კომისია აცხადებს, რომ თუ ეს ზომა დადებით შედეგს ვერ მიაღწევს, მაშინ დაიწყება ჩხრეკა ყველა ეზოების და სახლების და იძულებით გამოიყვანენ სამუშაოთ ყველას, სანამდე არ იქნება დასუფთავებული და გატანილი ნაგავი ჯარების ნაწილებიდან და ლაზარეთებიდგან. („სავეტსკი დონ“ 102).

**რევოლიუციის სამართალი.** **ნიკოლაევი** „გუბჩეკის“ დადგენილებით დახვრეტილ იქნა 18 მოქალაქე, რომელთაც ბრალდებოდათ კონტრ-რევოლიუციონერობა. მათ შორის დახვრეტილია ჟურნალისტი იაკუშინი, რომელიც 1917 წ. რედაქტორობდა „იზვესტიას“, 1919 წ. კი მოხალისეებს ეხმარებოდა და იყო ერთი „პოგრომშჩიკთაგანი“ (სოვეტსკი დონ“, № 102).

რევოლიუციის სამართალია ეს თუ ბალშევიკური ძალადობა? უფრო, რა თქმა უნდა, უკანასკნელი.

**„ობივატელობა“.** 8 ივნისს მეუნაგირეთა ფაბრიკაში შესდგა კრება, რომლის მიზანიც იყო „კომიაჩეიკის“ დაარსება. აღმაშფოთებელია ის, რომ მუშა აქ სულ 18 არის და ყველა მათგანი გამსჭვალული არის „ობივატელური“ სულით. „ვიდრე ჩვენ ჩავეწერდეთ პარტიაში, საჭიროა პირველ ყოვლისა გაგვაძღოთ, ჯამაგირები მოგვიმატოთ, სუბოტნიკებზე არ ვიმუშაობთ, გვინდა აბანო და სხ.“ აი რა გაისმოდა კრებაზე განა პეტროგ. მუშები ასე მსჯელობენ, თუმცა ისინი სამი წელიწადია შიმშილს განიცდიან: არა, მან დაივიწყა საკუთარი ტყავის საკითხი და ეწევა ბრძოლას მუშათა კლასის გასანთავისუფლებლათ. შემდეგ ამისა ავტორი მოუწოდებს მუშებს გაიღვიძონ და „დაივიწყონ ობივატელშჩინა. („სოვ. დონ.“ 102).

პური თუ მოითხოვა მშიერმა მუშამ ეს ობივატელშჩინაა—ბალშევიკი კომისრები და სხვადასხვა რევკომების მესვეურნი თუ მაძღარნი არიან—ეს სოციალიზმია...

**დეზერტირობისთვის.** „სოვეტსკი დონის“ 104 ნომერში მოთავსებულია ჩრდილო კავკასიის „პრედკომდეზერტირის“ იაპიშინის ბრძანება, სადაც სხვათა შორის შემდეგი სწერია: „მომავალში ყველა დეზერტირს შეხედავენ ისე, როგორც რევოლიუციის მტერს და მისი მახლობელი ნათესავები და ის პირნი, რომლებიც ხელს შეუწყობენ დეზერტირებს, დასჯილი იქნებიან სასტიკათ, მათ ქონება ჩამოერთმევათ და დახვრეტილ იქნებიან“.

**პური და თეატრი.** „ტრუდოვაია ჟიზნის“ 33 ნომერში მოთავსებულია სტანიცა ველიკოკნიაჟესკაიადან წითელ არმიელის წერილი, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს, რომ ის პური, რომელიც ეძლევა მათ, მდარე ღირსებისა არის. შიგ არის ნაფოტები, ჩალა და ბევრი ისეთი რამ, რაც არ ესაჭიროება წითელ არმიელის კუჭს. ამავე დროს ბაზარი სავსეა თეთრი პურით. ეხება რა თეატრებს, აღნიშნავს, რომ კარგი ადგილი ღირს 75 მან. თეატრი ემსახურება ხალხის გათვითცნობიერებას. ასეთი ფასების გაღება კი არ შეუძლიან მუშას და წითელ არმიელს. მაშასადამე, თეატრიც სპეკულიანტებისათვის არისო“.

განა მარტო ეს არის სპეკულიანტებისათვის საბჭოთა რუსეთში?!..

**როსტოვის ფასები.** ახალი ბაზრის „ტოლკუჩკაზე“ საქონლის ფასი დღითი დღე იზრდება—ნახმარი ტანსაცმელი და საცვლები 8—10 ათას მანეთამდე ღირს. ცარიელი ტომარი ბალახისა (ქილობის) 500—700 მანეთი ცალი. ტილოსი—1200 მ. ფეხსაცმელების „შპილკები“ ხის 1000 მ. გირვანქა. რკინის „შპილკები“ 1500 მ. საკერავი მაშინა ხელის, ძველი, უვარგისი 20 ათასი მანეთი. ერთი კოჭის ძაფი 1000 მ. („ტრუდოვაია ჟიზნ“ № 31).

(ჩამოსული ამხანაგის ნაამბობიდან)

**საბჭოთა რუსეთის ფასები სურსათსანოვაგეზე.** შავი პური, ძალიან ცუდი ხარისხისა ღირს გირვანქა—475 მან., თეთრი პური—800—1000 მან., ხორცი ძალიან ცოტა იშოვება და თუ იშოვა კაცმა, ღირს ძროხის—1000—1600 მან., ღორის—2000 მანეთამდე, ცხენის ხორცი—1200 მანეთამდე. გამხმარი თევზი („სელიოდკა“) წონით $1^{1}/_{2}$—2 გირ. ღირს 500—800 მანეთამდე. მარილი (ძალიან ძნელათ იშოვება) ღირს მარ. 400—600 მან. უბრალო ჩითი, რომელიც ომამდე 7—8 კაპ. ღირდა, ეხლა ღირს არშინი 1300 მან. სატანისამოსო უბრალო მაუდი არშინი—2000 მან. და ზევით; ყველი გირვ. 3000 მან.; კარაქი—2500—3000 მან.; კვერცხი ათეული—1000—1500 მან.; სარეცხის საპონი გირ.—600—900 მან.; ხელის საბანი საპონი ნაჭერი—1500—2000 მან., პაპიროსი 25 ცალი—1500 მან.; კოჭის ძაფი—600—1000 მან.; ფეხსაცმელები უბრალო „ბატინკები“—25,000 მანეთიდან. ჩაი ნამდვილი არ იშოვება; ჩაის სუროგატი ღირს გირ. 5000—6000 მ., ჩექმები ძალიან ძნელათ იშოვება, თუ აღმოჩნდა, ღირს წყვილი 50—60 ათასი მან., ფხვნილი შაქარი 1,500—2,000 მ.

ეს არის ბაზრის ფასები. არსებობს მტკიცე ფასები, გაცილებით უფრო დაბალი, მაგრამ მტკიცე ფასებში არავინ არაფერს ყიდის.

იაფი პურის მიცემის საქმე ასეთია: მთელი მცხოვრებნი გაყოფილი არიან 3 კატეგორიათ, პირველ კატეგორიას უნდა ეძლეოდეს $^{3}/_{4}$ გირ. დღეში, მეორეს $^{1}/_{2}$ გირ. მესამეს $^{1}/_{4}$. მაგრამ ამას ვერ ღებულობენ წესიერათ პურის უქონლობის გამო.

როდესაც ბაზარზე ასეთი ფასებია, მოსამსახურენი ღებულობენ ძალიან მცირე ჯამაგირებს, რომლის მინიმუმია 4,500 მან. მაქსიმუმი 12 000 მან.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14 ივლისი.

**ფრანგული ცნობები.**

**ავსტრიის დრედნოუტის საფრანგეთზე გადაცემა.**

ტულონის ნავთსადგურმა განკარგულება მიიღო ავსტრიის დრედნოუტის პრინც-ევგენის შემოშვების შესახებ. ეს დრედნოუტი გად ეცა საფრანგეთს თანახმად საზღვაო საზავო ხელშეკრულებისა. ეს ჯავშნოსანი, რომლის წყალწყვა 20,000 ტონს უდრის და 12—305 მილ. ზარბაზნით არის შეიარაღებული, ავსტრიის ფლოტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გემს წარმოადგენს.

**უმაღლესი საბჭო.**

**საზღვრები პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკებს შორის.**

მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭო შეიკრიბება ორშაბათს სპაში და გადასწყვეტს მიანდოს ელჩთა კონფერენციას, რომ მან გაავლოს საზღვარი პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის ტილდენის, ტეშენის, შპიტცისა და ორავის რაიონებში. ელჩთა კონფერენციას წინადადება მისცეს მოუსმინონ ორივე დაინტერესებულ მხარეს და საკითხი უახლოეს დროში მოაგვარონ. შეერთებულ შტატების მთავრობას გადასცეს წინადადება, რომ მან ამ თათბირზე თავისი წარმომადგენელი გამოგზავნოს. ეს დადგენილება აცნეს პოლონეთისა და ჩეხო-სლოვაკიის მთავრობებს, ამასთანავე წინადადება მისცეს მათ დაემორჩილონ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას.

**ოსმალეთის მეორე ნოტა.**

ოსმალეთმა საზავო პირობების შესახებ, მეორე ნოტა გაგზავნა. ექსპერტებმა, რომელთაც პირველი ნოტის პასუხის შედგენა აქვთ მინდობილი, უნდა უპასუხონ მეორე ნოტასაც. ფიქრობენ, რომ ეს სამუშაო ოთხშაბათს დასრულდება.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

14 ივლისი.

**ბაქო.** საბჭოთა მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლად სომხეთში დანიშნულია ლეგრანი.

**ვარშავა.** ლიტვის მთავრობამ ბალშევიკებთან მოლაპარაკების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ამ განცხადებაში ლიტვის მთავრობა იტყობინება, რომ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა იოფემ რუსეთის ხალხის სახელით, უარი განაცხადა ყოველგვარ პრეტენზიებზე, რომლებიც კი შესაძლებელია გამომდინარეობდეს იმ ფაქტიდან, რომ ლიტვა რუსეთს ეკუთვნოდა. შემდეგ მთავრობა იტყობინება, რომ იოფემ კატეგორიული უარი განაცხადა საბჭოთა მთავრობის მიერ ლიტვის დამოუკიდებლობის შესახებ განსაკუთრებულ აქტის გამოცხადებაზე.

**ციურიხი.** თანახმად იმ ცნობებისა, რომლებიც მუშათა წრეებში არის მიღებული, მოსკოვის ფაბრიკებსა და ქარხნებში 12 საათის სამუშაო დღე არის შემოღებული, სასურსათო და სათბობი პერსპექტივები საშინელია.

**ბაქო.** „კომუნისტში“ დაბეჭდილია ლევინის წერილი „საპყრობილეს ხმა“... იტყობინება, რომ საპყრობილენი პატიმრებით არის სავსეო. წერილის ავტორი ამბობს, რომ შესაძლებელია ხვალ ზოგიერთ პატიმართაგანი შევიდეს წითელ ჯარში და იქ არა სასურველი ატმოსფერა შეიტანოს. ამიტომ საპყრობილის კამერა უნდა გადავაქციოთ სადეზინფექციო კამერად, რომელშიაც პატიმარის სული წარსული ვიბრიონებიდან უნდა განვათავისუფლოთო. ავტორი წინადადებას იძლევა საპყრობილეებში წერა კითხვის არა მცოდნეთათვის სკოლების დაარსების შესახებ.

**ლონდონი.** შეკითხვაზე, თუ რატომ იქნა კრასინთან მოლაპარაკება შეწყვეტილი, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მოკავშირენი სხვათა შორის პრინციპიალურად არ უარყოფენ რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას, მაგრამ ამისათვის კატეგორიულ პირობათ მიაჩნიათ, რომ ბალშევიკებმა ძველი რუსეთის ვალი იცნონ. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ იტალია ბრიტანეთის თვალსაზრისს შეუერთდა. მაგრამ სფორცას და მილიერანს უდროოდ მიაჩნიათ, ვრანგელის შეტევის დროს საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვა, ვინაიდან ფაქტიურად ეს თვით მთავრობის აღიარებას ნიშნავს. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: ყოველ შემთხვევაში მე მოკავშირეებთან სოლიდარულად ვიმოქმედებო.

**გენუა.** იწვევენ შრომის საერთაშორისო კონფერენციას. ამ კონფერენციას დაესწრებიან: არგენტინის, ავსტრალიის, ჩინეთის, საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის, პოლონეთის, რუსეთის, პორტუგალიის, სიამის, სერბეთის, შვეიცარიის და ამერიკის წარმომადგენლები. კონფერენციის პროგრამაში შეტანილია შემდეგი საკითხები: მუშათა შრომის განსაზღვრა და სოციალურ კანონ-მდებლობის საკითხები.

**პარიზი.** „ფიგარო“ გადმოგვცემს: წითელი ჯარი ენზელის ევაკუაციას შეუდგა. ოსმალეთის რაზმები თათრებთან ერთად ემზადებიან სომხების წინააღმდეგ გასალაშქრებლად მაკუს რაიონში და სპარსეთ-ადერბეიჯანის მოსაზღვრე ხაზს ემუქრებიანო.

**პარიზი.** გაზეთ „სტამბოლის“ გადმოცემით მარშალმა ფოშმა აღმოსავლეთში მოკავშირეთა მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა. ფოშმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედებაში დაცული იქნება სოლიდარობა და თავის ძალებს ეკონომიურად გამოიყენებენ, მოკავშირეებს შეუძლიათ აღმოსავლეთის ბატონებად დარჩენ. საბედნიეროთ, აღნიშნა ფოშმა, ამ ჟამად მოკავშირეებს შორის დაცულია სოლიდარობა და შეიძლება ვთქვათ აღმოსავლეთის კრიზისმა ცოტად თუ ბევრად გაიარა. თავის მოხსენებაში ფოშმა მიუთითა იმ მილიტარიზმის სულის ჩაკვლის აუცილებლობაზე, რომლითაც მოცულია გერმანია.

## ახალი ამბები

**ხორბლის გაზიდვის აკრძალვა.** სასურსათო განყოფილება იუწყება, რომ მომარაგების სამინისტროს განკარგულებით ხორბლეულობის გატანა თფილისიდან სასტიკათ არის აკრძალული. სასურსათო განყოფილებამ თხოვნით მიმართა ერობებს, რომ მათ აუწყონ მანგლისის, კოჯორის, წალკის და მახლობელ სოფლების მცხოვრებთ, რომ თფილისიდან ხორბლის გატანა აკრძალულია და ამიტომ ამიერიდან მათ არ შეუძლიათ თფილისში ხორბლის ყიდვა.

**✦ შრომის კომისარი ბათომში.** შრომის სამინისტროს საქმეების გამგე გოლდმანი ბათომს გაემგზავრა. მას დავალებული აქვს ბათომში შრომის კომისარიატის მოწყობა და მომრიგებელ კამერის რეორგანიზაცია. ამასთანავე გოლდმანი მიიღებს ზომებს ბათომის მუშების და მოსამსახურეების სურსათით უზრუნველსაყოფად, გარდა ამისა, იგი მიიღებს ზომებს დამზღვევ კომისიისა და სოციალურ დახმარების კომიტეტის მოქმედების გასაფართოებლად.

**✦ ბათომის პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა** შრომის კომისრად აირჩია ა. წულაძე. ახალ კომისარს გადა-

## სხვა და სხვა სახელმწიფოების წესწყობილება

(იხ. „ერთ.“ №№ 151, 152, 153, 156)

### ი ტ ა ლ ი ა

**იტალია კონსტიტუციური მონარქიაა.** მისი კონსტიტუცია იწყება 1848 წლით. ეს არის ძირითადი სტატუტი. იტალია სავსებით შემდეგ გაერთიანდა. 1861 წლის კანონმა ვიქტორ ემანუილ II და მის მემკვიდრეებს მიანიჭა იტალიის მეფის ტიტული. 1871 წ. რომი გამოცხადდა სატახტო ქალაქად. ამავე დროს გამოცხადდა „კანონი გარანტიათა“, რომელიც აწესრიგებს ვატიკანის მდგომარეობას.

ამნაირათ იტალიას ჰყავს თავისი მეფე, რომელიც უპასუხისმგებლოა.

მის უფლებას შეადგენს: სისიების მოწვევა, მათი გადადება და საკანონმდებლო პალატების (პარლამენტის) დათხოვა, ზედაპალატის მუდმივ წევრთა და მისი თავმჯდომარის დანიშვნა, კანონის წინადადება, უარყოფა და დამტკიცება, მინისტრთა დანიშვნა და დათხოვა, სასჯელის შემსუბუქება და შეწყალება, ომის გამოცხადება, სამხედრო ძალების ბრძანებლობა, ზავის ჩამოგდება, ხელშეკრულობის დადება და სხ.

ორი საკანონმდებლო პალატაა—ქვედა—დეპუტატებისა და ზედა—სენატი.

დეპუტატები ხუთი წლით ირჩევიან. საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლება არ არის. ქონებრივი ცენზია. საარჩევნო ასაკია 21 წელი. ქალთა პოლიტიკური უფლება აღსარებული არ არის. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი მოქალაქე, რომელსაც 30 წელი შესრულებია.

სენატორებად მეფე ნიშნავს თავის ნებით იმ პირთ, რომელთაც მაღალი საეკლესიო თუ სახელმწიფოებრივი თანამდებობა ეჭირათ, ნიშნავს აგრეთვე წევრებს ყოფილ დეპუტატთაგან, მეცნიერ და საზოგადო მოღვაწეთაგან და სხვა. პრინცები ითვლებიან სენატორებად 21 წ. ხოლო ხმის მიცემის უფლება ეძლევათ 25 წლიდან. სენატის წევრთა რაოდენობა განუსაზღვრელია.

რამდენათაც შესაძლებელია კონსტიტუციურ მონარქიულ წყობილებაში, თავისუფლება პიროვნების, ბინის, რწმენის, სარწმუნოების, სიტყვის, წერის, ბეჭდვის, კრების და კავშირის უზრუნველყოფილია.

დეპუტატთა და სენატორთა მდგომარეობა შეუვალია. სიტყვისა და ხმის მიცემისათვის პარლამენტში პასუხს არ აგებენ. არც დატუსაღება შეიძლება მათი, გარდა დანაშაულზე მისწრებისა. მათი შეპყრობისათვის აუცილებელია პარლამენტის თანხმობა.

მინისტრები პასუხისმგებლები არიან ქვედა პალატის წინაშე. ეს **პოლიტიკური პასუხისმგებლობაა.** სისტემა პარლამენტარულია.

საერთო უფლების დარღვევისათვის მათ პასუხისგებაში აძლევს ქვედა პალატა, ხოლო ასამართლებს ზედა პალატა ანუ სენატი.

მართლმსაჯულება სწარმოებს მეფის სახელით. კანონის საყოველთაო სავალდებულო განმარტების უფლება ეკუთვნის მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებას (ე. ი. პალატებს და მეფეს).

კონსტიტუციაში არ არის ნაჩვენები, თუ **ვინ და როგორის წესით** სცვლის კონსტიტუციას. ცვლილება მაინც ხდება ხოლმე ჩვეულებრივი კანონმდებლობის წესით. ეხლახან იქნა შეტანილი პროექტი კონსტიტუციის მე-5 მუხლის შეცვლისა: მთავრობამ პარლამენტის ნებადაურთველად ვერ უნდა გამოაცხადოს ომი...

პაპს და მის ტახტს სრულიად განსაკუთრებული ადგილი აქვს იტალიაში. მისი პიროვნება წმინდა და ხელშეუხებელია. მთავრობა ვალდებულია სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეფურად სცეს პატივი პაპს სწორედ ისე, როგორც ამას შვრებოდენ ყოველთვის კათოლიკური მონარქები. პაპს შეუვალი სასახლე აქვს. ჰყავს განსაკუთრებული დამცველი გვარდია. აქვს განსაზღვრული რენტა, გადაწყვეტილი სახელმწიფოსაგან. მას აქვს უფლება თავის წარმომადგენლები—ლეგატები გაგზავნოს სხვა სახელმწიფოებთან და აგრეთვე მიიღოს მათგან წარმომადგენელნი. ამ წარმომადგენლობას აქვს დიპლომატიური ხასიათი და იმყოფება საერთაშორისო უფლების მფარველობის ქვეშ. პაპს პირდაპირი, უშუალო ურთიერთობა აქვს მთელ კათოლიკურ ქვეყანასთან.

საერთოდ ბუნდოვანი და გამოურკვეველია ურთიერთული დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის იტალიაში.

იტალიის ადგილობრივი ადმინისტრატიული ცხოვრება, მისი თვითმართველობა ერთობ წააგავს საფრანგეთისას. სულ ძირს არის თემი. რიცხვით 8.360 თემი ითვლება მთელ სამეფოში. ზედა საფეხურია კანტონი, შემდეგ ოლქი, ხოლო ოლქს ზევიდან ადგია პროვინცია, ეს იგივე საფრანგეთის დეპარტამენტია უფლებით და პოლიტიკური ბუნებით, იტალიაში სულ 69 პროვინციაა. საერთოდ თვითმართველობა საკმაოდ შეზღუდულია.

პოლიტიკური ცხოვრება შედარებით განვითარებულია. პარტიული ბრძოლა გაცხოველებული. მუშათა მოძრაობაში მრავალი ანარქიულ-სინდიკალისტური ელემენტია. იტალია ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანად ითვლება ევროპაში. აწარმოებს კოლონიალურ პოლიტიკას.

**ნ. საქარელი.**

(შემდეგი იქნება)

ეცა ბათომის შრომის განყოფილების ყველა საქმე.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** რეორგანიზაცია. უნივერსიტეტის რექტორის ი. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო სახალხო უნივერსიტეტის სარეორგანიზაციოთ არჩეულ კომიტეტის სხდომები. კომისიას აზრად აქვს გამოიმუშაოს რიგი ზომებისა, რომლებიც სახალხო უნივერსიტეტის საქმეებს გააუმჯობესებს. გადაწყდა სწავლების სისტემის შეცვლა და საქმის დაყენებაში ცვლილების შეტანა. გადასწყდა სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალური განყოფილების დაარსება, სადაც საერთო განათლების და სპეციალურ საგნებს ასწავლიან. უბნებში მხოლოდ საჯარო ლექციებს გამართავენ. სასწავლებლად საუკეთესოთ განათლებული ძალები იქნება მოწვეული. მათ შორის, მიწვეული იქნება სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ძალები. მსმენელებათ უმთავრესად მუშები იქნებიან. ლექციებზე რეგულიარული დასწრება სავალდებულო იქნება. საერთო განათლების განყოფილებაში 3—4 ფაკულტეტი იქნება გახსნილი.

სახალხო უნივერსიტეტის სპეციალურ განყოფილების მიზანი იქნება კვალიფიციურ მუშების მომზადება და მუშების სპეციალური ცოდნის გაფართოება. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში ლექტორთა, სახალხო განათლების სამინისტროს, ქალაქის თვითმართველობის, პროფესიონალურ კავშირების და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები შევლენ. განზრახულია პროვინციებში სულ 11 სახალხო უნივერსიტეტის მოწყობა. მათ სათავეში იქნება თფილისის სახალხო უნივერსიტეტი.

✦ **მთავრობის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა** 14 ივლისს მომარაგების სამინისტროს რწმუნებული დავით ვაჩეიშვილი სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის. ციხეში წაყვანის დროს მან განიზრახა თავის მოკვლა სასტუმროში. ვაჩეიშვილი დაჭრილია მსუბუქათ.

✦ **კურორტი მანგლისში.** სახელმწიფო მიწის ფონდიდან მანგლისის კურორტისათვის საჭირო ადგილების გამომყოფმა განსაკუთრებულმა კომისიამ შეადგინა დახედვის ოქმი იმ ადგილებისა, რომლებიც შეიძლება მანგლისის კურორტისათვის იქნეს გამოყენებული. კომისიამ აღიარა, რომ მანგლისის კურორტის საჭიროებისათვის აუცილებელია 50 დეს. მიწა, ამ რიცხვში შედის ის მიწა, რომელიც წინათ ერევნის გრენადერთა პოლკს და ყოფილ კადეტთა კორპუსს ეჭირა. კომისიამ გამოიმუშავა გეგმა მანგლისის კურორტის ტერიტორიისა საზღვრების აღნიშვნა.

✦ **ვლ. მესხიშვილის წარმოდგენა.** ლადო მესხიშვილი დღეს არტისტიულ ს-ბის თეატრში პირველად მონაწილეობას ღებულობს წარმოდგენა „ინსტიკში".

✦ **საღამო.** დღეს, მეორე ქართულ კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი) გაიმართება საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: გალაქტიონ ტაბიძე ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, დუტუ მეგრელი, რობაქიძე, თაგუნა და სხვ. დასასრულ გაიმართება კაბარე ღამის 3 საათამდე.

✦ **სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა.** ცენტრ. სტატისტიკურმა კომიტეტმა ერობებს, თემებს და მოხალისე კორესპონდენტებს გაუგზავნა სასოფლო სამეურნეო ანკეტა, მეურნეობის მდგომარეობის გამოსარკვევათ. სტატისტიკურმა კომიტეტმა თავის ანკეტაში შეიტანა საკითხები: ამინდის, შემოდგომისა და გაზაფხულის ნათესის და ტეხნიკურ მცენარეების, მევენახეების, მეხილეების, მებოსტნეობის, ბახჩების, საქონლის, სათიბების, მეთუთუნების, მეაბრეშუმეების, მეფუტკრეობის, ჩაის კულტურის, დაფნისა და ბამბის მდგომარეობის შესახებ. სტატისტიკური კომიტეტი სთხოვს ყველა ერობასა და კორესპონდენტს, რაც შეიძლება დაჩქარებით შეავსოს საანკეტო ფურცლები.

✦ **სურსათი თფილისისათვის.** სასურსათო განყოფილებამ ცნობა მიიღო, რომ კ. ა. პანიევს ბათომში უყიდია თფილისისათვის ბრინჯი და სხვა სურსათი; რომელსაც თფილისში მოკლე დროში მოელიან. ამას გარდა ნაყიდია კიდევ დიდძალი მანუფაქტურა. სარძევე განყოფილების უფროსი გაემგზავრა ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრაში რძისა და სხვა და სხვა პროდუქტების საყიდლათ მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

✦ **ნიხრი ხორბლი დაფქვაზე.** სასურსათო განყოფილება იუწყება, რომ თვითმართველობის სასურსათო განყოფილების კომისიის დადგენილებით ხორბლის დასაფქვავი ნიხრი შემდეგია: 1 ფუთი ხორბლის დაფქვა ღირს 16 მან., 1 ფუთი ქერი 17 მან., 1 ფუთი სიმინდი 18 მან. 3 ივლ. შეიცვალა კარტოფილზე ნიხრი. გირვანქაზე 9 მანეთი დანიშნეს.

✦ **მომრიგებელი კამერის** მიერ არჩეულია სპეციალური კომისია მადისონის თავმჯდომარეობით კამერის წესდების საბოლოოდ შესამუშავებლად, რომელიც დასამტკიცებლათ შრომის მინისტრს წარედგინება.

✦ **ხიდი მდ. რიონზე.** 6 ივლ. მთავრობის სხდომაზე მოისმინეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება ფოთში რიონზე ხიდის აგების შესახებ. დაადგინეს მდ. რიონის ჩრდილოეთის მხრივ მყოფ ტოტზე ხიდის ასაგებად გადაიდოს 14,700,000 მან. ამ ჯამის ნახევარი უნდა შეიტანოს ქალაქის თვითმართველობამ, მეორე ნახევარი კი სახელმწიფო ხაზინამ. იმის გამო, რომ ფოთის ქალაქის თვითმართველობას ამდენი ფული ხელთ არა აქვს, გადასწყდა ფული მისცენ სესხის სახით. ამ გადასახადის გარანტია იქნება ქალაქის საფუთო გადასახადი. შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა შეიმუშაოს შესაფერი კანონ-პროექტი და წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, 15 ივლისს, საღ. 6 ს. ბიუროს ბინა ზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომა. კოლექტივის ყველა წევრების, რაიონიდან თფილისის და ცენტრალურ კომიტეტებში წარმომადგენელთა და ქვე-კოლექტივების თავმჯდომარეების სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, საღ. 6 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— 15 ივლისს საღამოს 6 ს. მე-2 რაიონის კოლექტივის სხდომა არის დანიშნული.

— დღეს, 15 ივლისს, საღამოს 5 საათზე, შეიკრიბება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის არაჩვეულებრივი სხდომა, ამ სხდომას უნდა დაესწრონ ავლაბრის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის წევრები.

## სომხეთი და ადერბეიჯანი

**სომხეთის წინადადება.**

ბ. სრულუფლებიან წარმომადგენელს რ. ფ. ს. რ. ამით გაახლებ ჩემი მთავრობის მიერ შემუშავებულ ჩვენ შორის შეთანხმების პირობებს სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენციის მოწვევის შესახებ: 1) სომხეთისა და ადერბეიჯანის მთავრობები თანახმანი არიან გაცვალონ ადერბეიჯანში დატყვევებული დაშნაკელები სომხეთში დატყვევებულ ბალშევიკებზე, 2) ბრალდებულნი სტოვებენ რესპუბლიკის საზღვრებს, 3) გაცვლა-გამოცვლა ხდება ორივე რესპუბლიკის საზღვრებზე, სასურველია ყაზახსა და კარავან-სარაის შუა, ან ნეიტრალურ ადგილას, მაგ. თფილისში, საქართველოს მთავრობის თანხმობით, 4) ორივე რესპუბლიკა სწყვეტს დაშნაკელებისა და ბალშევიკების დევნას და პირობას სდებენ არცერთს დამუსაღებულს არ მიაყენონ რაიმე ძალადობა, ან სასჯელი, 5) ადერბეიჯანის რესპუბლიკა უფლებას აძლევს ყველა სომეხს, თუ ის ამას ისურვებს, დასტოვოს ადერბეიჯანი და თავისი ქონება გამოიტანოს, 6) ადერბეიჯანი და სომხეთი სწყვეტენ ყოველგვარ აგრესიულ მოქმედებას ურთიერთის მიმართ და ყოველგვარი სადავო საკითხის გადასაწყვეტათ იწვევენ კონფერენციას თფილისში, 7) სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლათ ინიშნებიან: 1) დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთისა საქართველოში ტ. ა. ბეკზადიანი, 2) დიპლ. წარმომადგენელი სომხეთისა ადერბეიჯანში მ. არუტიუნიანი, 3) პარლამენტის წევრი ნ. აგბალტანი და 4) კ. ჰაზაზიანი.

**ადერბეიჯანის პასუხი.**

ადერბეიჯანის საბ. სოც. რეს. საგ. საქ. სახ. კომისიის საგანგებო წარმომადგენელმა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში შემდეგი განუცხადა: თქვენი მომართვის საპასუხოთ მაქვს პატივი გაცნობოთ ჩემი მთავრობის პირობა სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენციის მოწვევის შესახებ: 1) ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობანი დაუყოვნებლივ სწყვეტენ ყოველგვარ დევნას კომუნისტებისას სომხეთში და დაშნაკელებისას ადერბეიჯანში, უარს აცხადებენ დატუსაღებულებზე ძალადობისა და სიკვდილით დასჯაზე.

2) ორივე რესპუბლიკა დაუყოვნებლივ უარს ამბობს ურთიერთის მიმართ აგრესიულ მოქმედებაზე, 3) ორივე რესპუბლიკა დაუყონებლივ მოახდენს გაცვლა-გამოცვლას დაპატიმრებულ კომუნისტებისა და დაშნაკელებისას, სადაც აღნიშნული იქნება დანაშაული ან განაჩენი მათ შესახებ, რის შემდეგაც დაუყონებლივ გაანთავისუფლებენ ყველას, გარდა იმ დამნაშავეთა, რომელნიც თანახმათ სასამართლოს განაჩენისა ურთიერთობის ნიადაგზე უკვე იხდიან სასჯელს, მოხდება განაჩენ მისჯილთა გაცვლა-გამოცვლა. ყველა სადაო საკითხის გამოსარკვევათ სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენცია იქნეს მოწვეული ყაზახში ან კავკავში. კონფერენციაზე გასაგზავნ-ადერბეიჯანის წარმომადგენლებს ამ დღეებში დანიშნავენ. (სდს)

## უ ც ხ ო ე თ ი

**ს ო მ ხ ე თ ი.**

**ადერბეიჯანის ჯარები ყაზახის ფრონტზე.** „არაჩი" (7 ივლისი) იტყობინება: რამდენიმე დღის წინად საგანგებო მატარებლებით ყაზახში მოიყვანეს 200 კაცისაგან შემდგარი რაზმი იმ სომხურ ნაწილებიდან, რომლებიც ბაქოში მოეწყო სპეციალურათ ყაზახის ფრონტზე ოპერაციების საწარმოებლათ. ამავე რაზმს ყაზახში შეუერთდნენ „ყაზახელი თათარი ბალშევიკები". 8 ივლისის თარიღით იგივე გაზეთი იტყობინება: ფრიად სარწმუნო წყაროებიდან ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბაქოში მოწყობილი რაზმები—1,500 კაცი, რომლის დანიშნულებასაც ყაზახის ფრონტზე ოპერაციების წარმოება შეადგენს,—უკვე გადაიყვანეს ყაზახში.

**ბეიუკ-ველის აღება.** ერევნიდან მოსული ცნობით სომხეთის ჯარებს 12 ივლისს დილით ხელჩართულ ბრძოლით დაუკავებიათ ბეიუკ-ველი. მტერი დიდათ დაზიანდა და გაიქცა. სომხეთის ნაწილები კვალდაკვალ მისდევენ გაქცეულ მტერს.

## ქალაქის საბჭოს სხდომა

12 ივლისს შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარემ **ალ. ლომთათიძემ** მოახსენა კრებას, რომ უკანასკნელ ხანს მრავალი პირისაგან შემოდის თხოვნა საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილის შესახებ. ქვეშევრდომობის კანონს აქვს ზოგიერთი დეფექტი, რომელიც შეუძლებელს ხდის სათანადო მოწმობების მიცემას. მასში არც კია აღნიშნული გარკვევით, თუ ვინ უნდა გასცეს ასეთი მოწმობები. საბჭო ირჩევს ცალკე კომისიას, რომელშიაც შედიან: ალ. ლომთათიძე, მ. რუსია, ივ. გომართელი, ალ. მდივანი და ის. გუნცაძე. ამ კომისიამ უნდა იქონიოს მსჯელობა ამ საკითხზე და საბჭოს მოახსენოს შედეგი.

გამგეობის წევრის **გ. კონიაშვილის** მოხსენებით გაიხსნა 70,000 მან. კრედიტი ქუჩის ბავშთათვის „პაპიე მაშეს" ქარხნის მოსაწყობათ.

მისივე მოხსენებით საბჭომ დაადგინა სხვა და სხვა გასართობებზე შეწერილ საქალაქო გადასახადის მთელი თანხა გადაეცეს შრომისა და სოციალური და- [illegible]

## აგონია სარკეში

ძლვნად მგოსან აბაშელს.

ფერფლის არშია იბლანდება ამწვარ გულების.
ეკლესიებზე შეიშლება ტარტაროზთ კრება.
ისმის წივილი ქვესკნელიდან ბაბაყულების.
და ჩემს გულიდან სასოება კვლავ ამოჰქრება...
მესაფლავენი ლოთურ სახით, ხელში ბარებით
შენდობას სვამენ, თონის პურზე წვეთებსა ჰღვრიან...
ჯვარედინ გზაზე მკვდარს უცდიან ხელის ფარებით...
კვლავ ლამაზ ასულს საფლავებთან—საფლავს უთხრიან...
ვინ ვარ, თუ რა ვარ?.. მსურს შევიტყო დღეს ყველაფერი...
ოხ, ველი პასუხს მწუხარების მონდომილებით...
გამიფითრდება მოლოდინში სახის ელფერი,
ფიქრად დამდნარი ვიცრიცები ღრმა დუმილებით...
სულის ქოთებით დარჩენილ ჯვრებს შენაზარები
მივაყინდები: ჩემი კუბოც თვალწინ მიდგება...
ვილაცა მეტყვის: „სიკვდილის ფრთით გაიბზარები,
ცელქი თვალები, როგორც მრავალს, შენც დაგიდგება!"

კ. რატიშვილი.

დის, რომ ერთი არ შეეფერება მეორეს, ეს სწორე არ არის. ჩვენი საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა საშინაო პოლიტიკას ხოლო მეორე—პირველს, რადგანაც როგორც ერთი, ისე მეორე დამყარებულია დემოკრატიის პრინციპებზე. აქ აღნიშნეს, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ კომუ- [illegible]

## თფ. მუშათა კავშირი და კომუნისტების პროვოკაცია

[illegible]

## საბაჟო გადასახადი

[illegible]

შემოსულა. ნამდვილად ეს შემოსავალი მეტი იყო, რადგანაც საბაჟო გადასახადიდან შემოსული თანხის ნაწილი მოხმარდა უწყების მიმდინარე ხარჯების დაფარვას. ეს თანხა გაცილებით აღემატება ხარჯთ-აღრიცხვით გამოანგარიშებულ შემოსვლის თანხას, რომელიც 24.500.000 მანეთს უდრიდა. ამ რიგად, საბაჟო გადასახადის შემოსავალმა უწყებას მისცა ზედმეტი 16.390.188 მან. ფინანსთა სამინისტროს ცნობით ხარჯთ-აღრიცხვის წლის პირველი თვის განმავლობაში შემოსავალი საბაჟო გადასახადიდან ძლიერ მცირე იყო—სულ 1.817.268 მან. საერთოდ საბაჟო გადასახადის შემოსავალმა უკანასკნელ თვეებში იმატა და მაქსიმუმი შემოსავლისა მაისმა მოგვცა. სახელდობრ—11.253.324 მან. საბაჟო გადასახადის შემოსავლის ასეთი მომატების მიზეზი არის ახალი საბაჟო ტარიფის გატარება, რომლის ძალით გადასახადი ფუფუნების საგნებზე საგრძნობლად გადიდდა. ფინანსთა სამინისტროს აზრით შემოსავალი საბაჟო გადასახადიდან ივნისის განმავლობაში კიდევ მოიმატებს, ვინაიდან საბაჟო გადასახადი ზოგიერთ გასატან საქონელზედაც არის დაწესებული. საბაჟო გადასახადის შემოსავალი ცალკ-ცალკე ხაზინებში არ არის თანასწორი. შემოსავლის მხრით პირველ ადგილზე დგას ტფილისის ხაზინა—27.161.718 მან. მეორე ადგილზე ფოთის—6.098.836 მ., მესამე—სოხუმის—2.110,927 მან. ფინანსთა სამინისტრო ფიქრობს, რომ ბათომის შემოერთებით საბაჟო გადასახადის შემოსავალი საგრძნობლად მოიმატებს.

## ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ

№ 115

მიუხედავათ ჩემი ბრძანებისა ჯარების მიმართ ამ წლ. 17 მარტიდან № 69. ჯარისკაცები განაგრძობენ სხვა და სხვა თხოვნების უშუალოთ გზავნას, როგორც ჩემს, ისე სხვა მინისტრთა თანამდებობის პირთა სახელზე. ეს გავლენა აიხსნება იმით, რომ ჯარისკაცების უფროსებმა ვერ ჩააგონეს მათ ჩემი კატეგორიული ბრძანება. იმათ ვერ დაიცვეს სიმტკიცით სამსახურის მოთხოვნილებანი.

ვბრძანებ: ნაწილების უფროსებმა განუმარტონ ჯარისკაცებს, უფროს ოფიცრებს, თუ რა სახით და ვის უნდა მიმართონ თავის თხოვნა-განცხადებით ზედმეტი მიწერ-მოწერის ასაცილებლათ, რომელიც ხდება ეხლა ჯარისკაცებიდან, უშუალოთ შემოსული თხოვნები ამიერიდან არამც თუ არ განიხილება, არამედ მათი უფროსები ბრძანების შეუსრულებლობისათვის დასჯილნი იქნებიან.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

## პროფესიონ. კავშირებში

**საქ. პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმ. კომ. სხდომა.**

13 ივლისს, საღამოთი ამხ. **ს. დევდარიანის** თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმ. კომიტეტის სხდომა.

ამხ. **შ. აბდუშელიშვილმა** მოხსენება გააკეთა ბორჯომის სახელმწიფო მამულების მუშათა მდგომარეობის შესახებ.

ბორჯომის მამულების მუშების მოთხოვნილების თანახმად შრომის მინისტრის ამხანაგი ალ. ბახტაძესთან ერთად აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით მე გავემგზავრე ბორჯომში. მისვლისთანავე ჩვენ გავმართეთ კავშირის გამგეობასთან და მამულების გამგებთან მოლაპარაკება, დავათვალიერეთ მათი ბინები ვინახულეთ ხერხისა და შუშის ქარხნები და გავეცანით მათ ეკონომიურ პირობებს. გამოირკვა, რომ მუშები იმყოფებიან ცუდ ეკონომიურ და სანიტარული პირობებში.

ჩვენ შევადგინეთ შერეული კომისია მუშების და გამგის მონაწილეობით და მოვახდინეთ შეთანხმება ყველა უმთავრეს კითხვებში. 6 ივლისს შესდგა მუშათა საერთო კრება, რომელმაც გაარჩია ბევრი საჭირბოროტო საკითხები და არჩეულ იქმნა კავშირის ახალი გამგეობა. მომატების საკითხი დროებით გადადებულ იქნა მანამდე, სანამდე მომატება არ მოხდება საერთო მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ჯერჯერობით კი ჯამაგირები შესწორებულ იქნას ისე, რომ მათი მინიმუმი უდრიდეს 2,000 მ.

8 ივლისს დავბრუნდი ბორჯომიდან და შრომის მინისტრის ამხანაგ ალ. ბახტაძესთან ერთად აღვძარით შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების მინისტრ ნ. ხომერიკთან ყველა იმ კითხვების გადასაჭრელათ, რომლებიც იქ წარმოადგინეს

მინისტრი შეგვპირდა ყველა იმ კითხვების დაკმაყოფილებას, რომლების დაკმაყოფილებაც დღეს შესაძლებელია. მოხსენება ცნობათ იქნა მიღებული.

შემდეგ გაირჩა მუშათა სასახლის საკითხი.

ამხ. **ხელაძის** მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ მუშათა სასახლე საჭიროებს დიდ შეკეთებას, გამშვენიერებას და ზოგი ნაწილის გადაკეთებას. სასახლის შესაკეთებლად საჭიროა $2^1/_2$ მილიონი მან. კავშირებს საამისო სალსარი არა აქვთ, შეკეთება კი აუცილებელია, რაც შეიძლება მოკლე ხანში მოხდეს.

კრებამ დადგინა: აღიძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა მან ახლო მომავალში შეაკეთოს სახლი თავის ხარჯზე. მთავრობასთან ამ საგანზე მოსალაპარაკებლათ ირჩევა კომისია, რომელშიაც შედის 2 წარმომადგენელი სეკრეტარიატიდან და 1 აღმ. კომიტეტიდან. კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. ალ. ხელაძე, დობორჯგინიძე და პ. ბერიშვილი. სახლის იურიდიულ კუთვნილობის და მისი გამგებლობის საკითხი ღიათ დარჩა ამ მოლაპარაკების დამთავრებამდე.

დასასრულ კრებამ ღაავალა ამხ. ს. დევდარიანს შეადგინოს იმ მიმართვის ტექსტი, რომელიც უნდა გაეგზავნოს საერთაშორისო პროლეტარიატს, თანახმად 11 ივლისის მუშათა ორგანიზაციების შეერთებულ სხდომის დადგენილებისა კომუნისტების მოქმედების გამო.

## ბორჩალოს მაზრაში

შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის თანაშემწემ ქარცივაძემ შემოიარა მთელი ბორჩალოს მაზრა, სადაც მან ყველა ადმინისტრატიული დაწესებულებების რევიზია მოახდინა. სპეციალურად ქარცივაძემ გაეცნო ნეიტრალურ ზონიდან საქართველოს ტერიტორიაზე ყაჩაღთა ბრბოების თავდასხმის საქმეს. გამოირკვა, რომ პირველი თავდასხმა მომხდარა 1919 წ., რომლის დროს წაუყვანიათ მრავალი შინაური საქონელი. ბორჩალოს მართველობამ ეს შეატყობინა ჯელალ-ოღლის და სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალურ მართველობას. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა სთხოვა მათ მეგობრული დახმარების აღმოჩენა ყაჩაღთა სალიკვიდაციოთ, რომელიც სომხეთის რესპუბლიკაში შესდგა. საქართველოს წარმომადგენელმა გამოარკვია, რომ ყაჩაღთა ბრბოს ხელმძღვანელობს ვასო მარკარიანცი და ამირხანოვი. სომხეთის ადგილობრივი მთავრობა არა თუ ეხმარებოდა საქართველოს მართველობას, არამედ ხელს უშლიდა და ვასო მარკარიანცი და მისი ბრბო მთავრობის სამხედრო ნაწილშიც კი ჩასწერეს.

თავის სიტყვების დასამტკიცებლათ ქარცივაძე იუწყება, რომ მეორე რაიონის კომისრის მიერ ხელმოწერილი მოწმობა № 1373, 15 მაისის თარიღით მიცემულია მარკარიანცზე, რომ იგი ითვლება სახელმწიფო სამსახურში მოხალისეთა რაზმის უფროსათ. (სდს).

## ოსების ტყვეობიდან.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ჩვენ, ოსების ტყვეობიდან დაბრუნებულნი: აფიცრები, გვარდიელები, დეკ. ირ. ოქროპირიძე, მილიციელები და კერძო პირნი, სულ 354 კაცი, გულითად მადლობას ვუძღვნით კავკავში მცხოვრებ ქართველობას, მათ სახელოვან ეროვნულ საბჭოს იმ განუსაზღვრელი შრომისა და გულშემატკივრობისათვის, რომელიც მათ გაგვიწიეს ჩვენ ტყვეობიდან დახსნა-პატრონობაში. ჩვენი ხსოვნიდან ამოუშლელი დარჩება ხსოვნა და პატივისცემა მღვ. გიორგი ნათაძისა (საბჭოს თავმჯდომარეა), მარიამ ოქროპირიძე—ცაბოლოვისა და სხვების, რომელნიც დახმარებას გვიწევდენ მთელი ერთი კვირის განმავლობაში. ნამეტნავათ დიდი ღვაწლი დაგვდო საბჭოს თავმჯდომარემ და კონსულის მოადგილემ მღ. გიორგი ნათაძემ, რომელიც კონსულის მაგივრობის გარდა მდივნობასაც ასრულებდა, რადგან ორნივე ქ. თფილისში წასულიყვნენ და მთელი მძიმე ტვირთი მიწერ-მოწერისა, ჩრეზვიჩაიკა-რევკომებში მთელი კვირის განმავლობაში მისვლა-მოსვლისა და მოლაპარაკებისა დააწვა მღ. გიორგი ნათაძეს. გულითად მადლობას ვუძღვნით აგრეთვე არდონის მღვდელს ნიკოლოზ იტონიევს ოჯახობით, რომელიც დიდი გულშემატკივრობით და უხვი მასპინძლობით გვინახავდა ხუთ კაცს ტყვეებს მთელი ერთი კვირის განმავლობაში და ალაგირში მცხოვრებ გაბო კოჩოევს ოჯახობით, რომელმაც თფილი გრძნობით და პურმარილით გაგვამხნევა ტანჯული ტყვეების ერთი ჯგუფი. უაღრეს მადლობას ვუძღვნით ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას და მის გამოგზავნილ პოლკოვნიკ ავქსენტი აბესაძეს იმ მშობლიურ გრძნობა-მზრუნველობისთვის, რომელიც გაგვიწიეს ტყვეობიდან დახსნა-მგზავრობაში.

მონდობილობით დეკანოზი **იროდიონ ოქროპირიძე.**

12 ივლისი, 1920 წ.

ვთხოვ სხვა რედაქციებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

## რკინის გზელთა პროფეს. კავშირების კონფერენცია

3 ივლისის სხდომა.

კითხვაა კონფერენციის უფლებ-მოვალეობის შესახებ. ბერეჟიანი აღნიშნავს, რომ კონფერენციას აქვს საერთოდ სათათბირო ხასიათი და მისი დადგენილებები სახელმძღვანელოდ გადაეცემა ხოლმე ამა თუ იმ ორგანოებს. რაც შეეხება № 17 ბრძანებას, იმის დეტალურად გარჩევა აქ შეუძლებელია და აქ უნდა გავაცნოთ მხოლოდ, თუ რა შეხედულებიდან გამოდის გამგეობა და ან შრომის სამინისტრო. კონფერენციის შეხედულება ჩვენ მოგვცემს მასალას ამ კითხვის სამართლიანად გადაწყვეტისას.

**მიქაია.** როცა კონფერენცია მოიწვიეს უნდა თავიდან ყოფილიყო გათვალისწინებული ყოველივე ეს და მას უნდა სცოდნოდა, თუ რა უფლებით იყო კონფერენცია. კონფერენცია ვერ დაადასტურებს ვერც იმ მუხლებს, რომლის შეთანხმება მომხდარა და ვერც სადავო მუხლებს გადაჭრის, რადგანაც ის არ არის დამაკმაყოფილებელი და მის პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს.

**გიგიბერიძე.** ჩვენ გვეგონა რეზოლიუციებს გამოვიტანდით ამ კითხვების შესახებ. ჩვენ მაქსიმალისტურ მოთხოვნილებებს არ ვადგივართ. კითხვა, რომელიც უკვე გადაჭრილია, დაგვრჩენია დასტურის მიცემა.

**ვ. სიხარულიძე.** კონფერენციის დადგენილება არ არის სავალდებულო და მისი გამოტანილი რეზოლიუციები მხოლოდ საფუძვლად დაედება ჩვენ მუშაობას. ყრილობამ ეს ცენტრალურ გამგეობას მიანდო და თუ კონფერენციას გადუშალეთ ნამუშევარი, გვინდოდა გაგვეგო ამხანაგების აზრი და შეხედუ-

ლეჟები და ამით გაგვეთვალისწინებია, თუ რამდენათ სწორი ნაბიჯი გადადგა ცენტ. გამგეობამ.

**ი. გიორგაძე** იზიარებს იმ აზრს, რომ ყრილობამ ცენტრ. გამგეობას დაავალა და არა კონფერენციას. საერთოდ ბრძანება შეთანხმების საქმეა და მოითხოვს კამათის შეწყვეტას. მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: „ბრძანება № 17-ს იმ მუხლების შესახებ, რომელზედაც უკვე მოხდა შეთანხმება შრომის სამინისტროსთან, კონფერენცია არ ეხება და მსჯელობს მხოლოდი იმ მუხლებზე რომელსაც სადავო ხასიათი აქვს და არ ხერხდება შეთანხმება, დადგენილებებს გამოიტანს და გადასცემს ცენტრ. გამგეობას სისრულეში მოსაყვანად.

ყ. ნინიძის წინადადება, რომ მოიხსნას დღის წესრიგიდან და მის შესახებ პასუხისმგებლობა ცენტრ. გამგეობამ იკისროს მთელი თავისი სიმძიმით, არ გავიდა. შემოდის განცხადება თავმჯდომარის, არჩეულ იქნას კონფერენციის მიერ მთავრობასთან დელეგაცია, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს, რათა მიიღოს უფლება კავშირისათვის სახლის შესყიდვისა. არჩეულ იქნა ყ. ნინიძე და ნ. ბერეჟიანი. მათ ევალებათ ნებართვის აღება სახლის შესყიდვას შესახებ კავშირის საჭიროებისთვის. ამის შემდეგ კრება გადადის ბინის საკითხის განხილვაზე.

მომხსენებელი **ნ. ნახიძე**. ბინის საკითხი პირველი მოთხოვნილების საკითხია მუშათა მოძრაობის ისტორიაში. სხვა და სხვა წარმოების მუშები გაფიცვის პირველ რიგში აყენებდენ ბინის საკითხს. ცხადია, ისეთ დიდ წარმოებას, როგორიც რკინის გზის წარმოებაა, ბინის სიკითხი ერთი პირველ საკითხთაგანია და ამიტომაც მწვავედ დგას საკითხი ბინების შესახებ. ბინები არ ყოფნის საერთოდ წარმოებას, რომ მუშებს ძისცენ საცხოვრებლად; ამიტომ არის ბინების განაწილების შესახებ მუშებს შორის არსებობს ბრძანება № 107. ბინა ყველა მუშა-მოსამსახურეებს უნდა ქონდეს, მაგრამ სანამ საყოფი ბინები არ აშენებულა და არ გვაქვს, ჩვენ უნდა ის ბინები, რომელიც არის,—გავანაწილოთ ზოგიერთ კატეგორიის მოსამსახურეებზე, რომლის წარმოებასთან ახლო ყოფნა აუცილებელია. ამ მიზნით ყრილობამ ჩვენ გადმცვცა ბრძანება № 107 გადაშინჯვა და შიგ ცვლილებების შეტანა. არსებული ბინების გასანაწილებლად არსებობს საბინაო კომისია: საბინაო კომისია ყველა უბნებში დგება უბნის უფროსის თავმჯდომარეობით პარიტეტულ ნიადაგზე კავშირის წარმომადგენლების და ადმინისტრაციის მონაწილეობით. ბინების განაწილება წარმოებს სამ კატეგორიათ. პირველ კატეგორიაში არიან ისეთი დაქირავებულები, რომლებიც ვალდებულნი არიან ადმინისტრაციისაგან ყოველ მოთხოვნილების დროს გავიდენ სამუშაოდ. მეორე კატეგორიაში შედიან ისეთი პირები, რომლებიც წარმოების სიახლოვეს უნდა ცხოვრობდეს და მის ხანდახან აუცილებელ საჭიროების დროს უნდა გადიოდენ. დანარჩენი კი მესამე კატეგორიაში. არიან ისეთი მოსამსახურეები, რომლებსაც ბინები უკავიათ და ამ წესით მათ აღარ ეკუთვნით, ასეთ მოსამსახურეებს ჯერ ჯერობით ვერ წავართმევთ ბინებს და მათგან განთავისუფლება ბინისა დაუშვებლად მიგვაჩნია. დასასრულ კითხულობს სიას, თუ ვინ სარგებლობს ბინით. იხსნება კამათი ბინის გარშემო.

**მიქაია.** ბინის საკითხი მწვავედ დგას. ხსენებულ ბრძანებაში გამოტოვებულია ზოგიერთი დარგის მოსამსახურეები, როგორიც არიან მუშები. მოითხოვს მემანქანეებს და მათ თანაშემწეებს მეტი % დაეთმოს ბინის სარგებლობის მხრით. უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ უმრავლესობა ცხოვრობს კერძო ბინებში და სათბობ მასალას და სხვას მოკლებულნი არიან.

**დეკანოიძე.** მემანქანეები და კონდუქტორები უნდა იქნან შეტანილი 1 კატეგორიაში, რადგანაც მათი სამსახურის ინტერესი ამას მოითხოვს. ყველა იმას, ვისაც საკუთარი სახლი აქვს წარმოების 2 ვერსის მანძილში, უნდა გაანთავისუფლონ სახაზინო ბინები და სხვას გადასცენ.

**მაჭარაძე.** მთავრობას ჩვენ დაუყენეთ ბინის საკითხი. ის შეგვპირდა სხვადასხვა პალიეტიური ზომებით ბინების აშენებას კოჯორის და სხვა ადგილებზე. საჭიროა კონფერენციამ თქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა ბინის შესახებ. მთავრობა თუმცა თანდათან ახდენს სახლების რეკვიზიციას, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ამ შემთხვევაში ფართოდ მოქმედება და სახლების რეკვიზიცია, სადაც ეს საჭირო იქნება.

**ბუაჩიძე და თვალაძე.** მოითხოვენ პროექტში ამოიშალოს: რემონტის მუშებს ეძლევა „კაზარმული" ხასიათის ბინა, რადგანაც ისინი კატეგორიაში არიან, ამიტომ ბინები უნდა მიეცეს და არა „კაზარმები". კამათში დანარჩენი ორატორები აღნიშნავენ ბინების მოუწესრიგებლობას, რის შემდეგ კონფერენცია ამტკიცებს რა საერთოდ პროექტს, შეაქვს ზოგიერთი მცირე შესწორებები. ამის შემდეგ მოსმენილ იქნა ბერეჟიანის განცხადება, რომელიც ამბობს, რომ მთავრობა სიამოვნებით შეხვდა დელეგაციას კავშირის ბინის შესახებ და დადებითად გადაწყვიტა ეს კითხვა.

**მეგრელიშვილის** განცხადება კანტორის მოხელეების კატეგორიებში ჩარიცხვის შესახებ მიღებულ იქნა გაირჩეს 4 ივლისს კატეგორიების შემუშავების დროს.

**თელიას** განცხადება, რომ ხაშურის მუშებიდან მოვიდა ცნობა პურის მიუღებლობის შესახებ და რომ რამე არ გამოიწვიოს, მოითხოვს მათ დაკმაყოფილებას—არჩეულ იქნა **რევიშვილი** და **შენგელია** სასურსათო კომიტეტთან მოსალაპარაკებლად რათა მათ გაეძლიერებია მუშაობა ამ სფეროში და რაიონებისათვის პური თავის დროზე მიეწოდებიათ.

**გალო სკლიარი.**

(შემდეგი იქნება)

## ბიბლიოგრაფია

**ზოტიკე „ცხოვრების ტალღები".**

1905—7 წლის რევოლიუციას და შემდეგის წლების რეაქციას, უეჭველია, დიდი შთაბეჭდილება უნდა დაეტოვებინა ჩვენს საზოგადოებაში. ამ შთაბეჭდილებამ თავისი გამოხატულება ნახა ლიტერატურაშიაც. ლირიკული ნაწარმოებიც რომ არ ჩავთვალოთ, დაიწერა რამდენიმე დიდი ზომის ბელეტრისტული ნაწარმოები, რომლებიც, პოლიტიკურ პირობების გამო, ძალიან დაგვიანებით, უმეტეს ნაწილათ 8—10 წლის შემდეგ, ეღირსენ დაბეჭდას. ერთი ამნაირ ნაწარმოებთაგანი ამ ცოტა ხანში გამოსცა ქ. შ. წერა-კითხვის გამარცელებელმა საზოგადოებამ. იგი ეკუთვნის **გ. ზოტიკეს** კალამს და ეწოდება „ახალი ტალღები". ეს ნაწარმოები, როგორც მის თარიღიდან ვტყობილობთ, 1909 წელს ყოფილა დაწერილი ქუთაისის საპყრობილეში.

ეს ნაწარმოები კარგათ მოზრდილი რომანია (224 გვერდიანი), რომანის ჩარჩოებში გამყვანილია 1901—7 წლების მუშათა მოძრაობა, რევოლიუცია და შემდეგი რეაქცია. აღწერილია საინტერესო სცენები მუშათა ეკონომიურ მოძრაობიდან, საიდუმლო ორგანიზაციები. პროპაგანდა-აგიტაცია, ეკონომიური მოძრაობის გადაქცევა პოლიტიკურ მოძრაობათ, ცხადი გამოსვლები, გამარჯვება, დამარცხება. ეს სცენები მარტო ქალაქის მუშებით არ განისაზღვრება: რომანში დახატულია ის ფორმები, რომლებსაც ღებულობდა მოძრაობა სოფლადაც: მიწების დაკარგვა გლეხების მიერ, მათი პროლეტარიზაცია,—მემამულეთა მიწების დატაცება გლეხების მიერ რევოლიუციის დროს, შემდეგ მოყოლილი დამსჯელი რაზმების ბობოქრობა, სოფლის მცხოვრებთა ხელახლად დაბეჩავება და სხვა. თითქმის ყველა ნაწარმოებებს, რომლებიც ამ თემაზე დაწერილა, ერთი დიდი ნაკლი სჭირთ: ავტორებიც უმეტეს ნაწილად, პროტოკოლის კილოთი აგვიწერენ ამ ამბებს. მათი ნაწერი სრულიად მოკლებულია ხელოვნების ბეჭედს: ეს უფრო სხდომის ოქმებს მოგვაგონებთ, ვიდრე შემოქმედობის ნაყოფს.

„ახალი ტალღები"-ს ავტორი ამ მხრივ ძლიერ განირჩევა სხვა ავტორებისაგან: ამნაირი „პროტოკოლისტური" ადგილები მის ნაწარმოებში ცოტაა. მაგრამ საზოგადო მანერამ აქაც დაატყო თავისი კვალი: ბ-ნ ზოტიკეს ნაწარმოებშიაც შეხვდებით მთელს გვერდებს, რომლებშიაც გადმობეჭდილია საიდუმლო ან ცხადი სხდომების მოკლე ოქმი, მთელი სააგიტაციო სიტყვები, „მიმდინარე მომენტის" გარკვევა და სხვა. ხელოვნებას მოკლებულ სცენებათ მივაჩნია, მაგ., მე-4 თავი („კრება"), მე-5 თავი („გაფიცვის ბიურო"), მე-8 თ. („კომიტეტის სხდომა") და რამდენიმე სხვა ადგილები. მიუხედავათ ამ მნიშვნელოვანი ნაკლისა, რომანი დიდის ინტერესით იკითხება, მასში არის სცენები, რომლებიც ააღელვებენ, გულს უტოკებენ მკითხველს, გამოიწვევენ მასში სიყვარულს და თანაგრძნობას, სიძულვილს და აღშფოთებას. ძლიერ კარგს შთაბეჭდილებას ახდენს მეტადრე ის გარემოება, რომ ავტორი სწერს მეტათ უპრეტენზიოთ, უბრალოდ, სადათ. მის კალამს ერთნაირი მოკრძალება ატყვია. ამ მხრივ ბ-ნი ზოტიკე გამონაკლისს შეადგენს ჩვენს მწერალთა უმრავლესობაში, რომელთა დამახასიათებელი თვისებაა თავისი თავის რეკლამა, „მე"-ზე ყვირილი და განდიდების მანია.

იმ სიცარიელეში, რომელიც გამეფებულია უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს ლიტერატურაში, წ.-კ. საზოგადოების მიერ გამოცემული რომანი ძალიან სასიამოვნო ფაქტათ უნდა ჩაითვალოს. დარწმუნებული ვართ, რომ მას თავისი მკითხველი გაუჩნდება.

ლ. ნ.

## „უპარტიო"-ს წერილის გამო

გაზ. „სახალხო"-ს 859 №-ში ვილაც „უპარტიო" ერთი წლის დაგუბებულ ბალღამს ერთათ ანთხევს ჩემს წინააღდეგ მის ფურცლებზე. რა ვუყოთ, ეს მორიგე ფალავანდია, ეტყობა, და თუმცა კატეგორიულათ გადაწყვეტილი მქონდა ამგვარ აბდა-უბდებისთვის ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ ვხედავ თავისას არ იშლიან.

დავიწყოთ თუ გინდ იქიდან, რომ ეს ის „უპარტიოა", რომელიც, როდესაც ამ ახლო წარსულში საქართველოს საზღვრებს ბალშევიკების ჯარი მოადგა—სოფელში თავის თავზე ხმებს ავრცელებდა: „მე ბალშევიკს მეძახიანო", მაგრამ შრომამ უნაყოფოთ ჩაუარა. ეს ის „უპარტიოა", რომელსაც ჩემმა წინანდალში მოვლინებამ კრებაზე მიუთითა და აქ სამსახურში განვლილ „სანეტარო" დროს ეხლა მხოლოდ ტვინს სიზმრად ხედავს. სხვა რომ არაფერი ვსთქვათ, ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლათ, რომ „უპარტიოს" ჩემს წინააღმდეგ გამოლაშქრებას მყრალი სუნი უდის.

საბრალო „უპარტიო!". ის კი გაუგონია, რომ ჩემსა და მუშებს შორის დამოკიდებულების გამოსარკვევათ კომისიაც იყო (არ დაგვავიწყდეთ,—ჩემი მოთხოვნით!), იმას კი აღარ ამხელს, რომ ამ კომისიის დასკვნის თანახმად ყოველივე „უპარტიოსთანა" ნაწყენ ელემენტების მოჭორილი გამოდგა და მათ მიერ შე- [illegible]

[illegible] ნაც ხომ, „უპარტიოს" სამწუხაროთ, 35 საპალნე მივიღეთ და არა 25? ნაფარეულის მამულმა რომ 1/3 მისცა სახელმწიფოს და მუკუზნისამ 2/3 წინანდალთან შედარებით,—იქაც რამიშვილი იყო? და იმ მამულებში ხომ ვენახების სივრცე მეტია, ვიდრე წინანდალში? რას იტყვის ამ ფაქტების წინააღმდეგ „უპარტიო"?

არა, ბ. „უპარტიო", ნუ თვალთმაქცობ, სადაც მამულის კეთილდღეობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი—იქ თქვენ ადგილი არა გაქვთ; ჩვენ მშვენივრათ ვიცით, თუ რა გალაპარაკებთ თქვენ და ფეხმოკლე ტყუილებით ვერავის შეიყვან შეცდომაში.

14 ივნისის გაფიცვასაც ესარჩლებით. გეტყობათ ბევრი გიმუშავნიათ მის მოსაწყობათ, მაგრამ ის კი გავიწყდებათ, რომ ეს გაფიცვა მთელი საქართველოს შეგნებულმა დემოკრატიამ დაგმო და რესპუბლიკისადმი ღალატათ ჩასთვალა.

რაც შეეხება იმას, რომ ჩემს „კეთილდღეობას ორი არაკახელნი" იცავენ—(გეთქვათ ბარემ იმერლები-თქო, ეს ხომ თქვენი საყვარელი ტერმინია), უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი იცავენ მამულს და არა მე და იცით ვისგან? სწორეთ იმათგან, რომლებსაც თქვენ ვახშმებს უმართავთ, აქეიფებთ და შიკრიკობასაც კი უწევთ. ნუ მომთხოვთ მტკიცებას, ხომ იცით ეს ხელს არ მოგცემთ.

ამით ვათავებ. ვურჩევ „უპარტიოს" აკმაროს მუშებს დათვური სამსახური, სანამ ჯერ კიდევ ყველას არ შეუგნია, თუ რა სული ბუდობს მასში და „ვიდრე ორხელ იყივლებდეს მამალი—სამხელ უარყოფდენ მას" და მის მფარველობას სირცხვილათ არ მიიჩნევდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ გამოვამზეურო, როგორც მისი პიროვნება, ისე საქმენიც და მაშინ ნურას უკაცრავათ. პროვოკაციებსაც თავი დაანებოს, მე არავის დავმუქრებივარ ჩემი გვარით (რა სისაძაგლეა)!

წინანდლის სახელმწ. მამულის მმართველი **ე. რამიშვილი.**

## ს. დ.-პარტიაში

**ქვემო-ჭალა** (ქართლი). 5 ივლისს შესდგა ქვემო-ჭალის რაიონის სოც.-დემოკ. მ. პ. კოლექტივის პირველი უბნის წევრთა კრება. დაესწრნენ: გორის მაზრის ს.-დემ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი ამხანაგი იასონ ხანიშვილი, რაიონის კოლექტივის და ადგილობრივ დაწესებულებებში მომუშავე ამხანაგთა წარმომადგენლები.

1) მოსული ამხანაგი აკეთებს მოხსენებას მომენტზე, ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთან შემოერთებაზე, ბოლშევიკ-კომუნისტებთან დამოკიდებულებაზე და სხვა. ისვე აცნობს კრებას სამაზრო ცენტრის უკანასკნელ გადაწყვეტილებებს.

კრება იღებს რეზოლიუციას: კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხანაგის იასონ ხანიშვილისა, სიამოვნებით ღებულობს. ამასთანავე გამოსთქვამს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი სრულ ნდობას.

2) ადგილობრივ ორგანიზაციების მოქმედების შესახებ ირკვევა, რომ რაიონის ყველა ორგანიზაციები მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი ურთი-ერთ შორის და მოქმედებენ შეთანხმებულათ. [illegible]

[illegible] მუშათა კლუბის სუბსიდია, რომელიც მას მიეცა 30 ათასი მანეთის სახით, ისეთი მცირე თანხაა, რომ მუშათა კლუბის საჭიროებას ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს, ამიტომ კოლექტივმა გადასწყვიტა განაახლოს თხოვნა სადაც ჯერ-არს და ითხოვოს, რომ ამ თანხას კიდევ მიემატოს.

**ვერხვი.**

## მუშათა შორის

**დ. წალენჯიხა.** აქაური მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობა მეტის-მეტათ უმწეოა. ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას, ისარგებლონ მომარაგების სამინისტროს ფონდით. არ არიან ორგანიზაციულად შეკავშირებული, არა აქვთ საკუთარი კოოპერატივი, რომელსაც შეეძლო მათთვის ხელმისაწვდომ ფასებში მიეწოდებინა უსაჭიროესი საგნები. თუმცა აქ არსებობენ საზოგადო კოოპერატივები, რომელთა წევრებად ადგილობრივი მოსამსახურეებიც ითვლებიან, მაგრამ ხსენებული კოოპერატივები მოსამსახურეებისათვის საჭირო საგნებით ცალიერია; ასე რომ ზოგიერთი საგნების შეღავათიან ფასებში შოვნას, როგორც ეს მოწყობილი აქვთ ქალაქების და ზოგიერთი პროვინციების მუშა-მოსამსახურეებს, წალენჯიხის მუშა-მოსამსახურენი მოკლებულნი არიან. ამისთანა მდგომარეობის გამო ისინი ჩავარდნილი არიან სპეკულიანტების ხელში. უსაჭიროეს საგნებზე ყოველ დღე მატულობს ფასი, მაგ. სიმინდი ერთი თვის წინ ღირდა 200—250 მ. და ახლა ყიდიან 500 მ. და ზოგ ადგილებში კი 700 მ. ამისთანა დროს საჭირო არის, რომ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი თავის დროზე ღებულობდნენ ჯამაგირს. წალენჯიხის ფ.-ტ. დაწესებულებას არა აქვს მოწესრიგებული ზუგდიდიდან წალენჯიხაში ფულის მიღება. იმის მაგივრად, რომ ჯამაგირის მიღება სწარმოებდეს თავის დროზე, მოსამსახურენი ფოსტაში ფულის უქონლობის გამო იძულებულნი არიან იცადონ თხუთმეტი—ოცი დღე და ხშირად ერთი თვეც. ზუგდიდიდან წალენჯიხაში ფულის გადმოზიდვა უჭირს ადგილობრივ ფოსტას. როცა ადგილობრივი ფ.-ტ. დაწესებულების მოსამსახურებს შეეკითხებიან: რატომ აგვიანებთ ფულის მოტანასო—ისინი ეყრდნობიან მცველების უყოლობაზე.

თუ წალენჯიხის ფ. ტ. დაწესებულებას აქამდის ვერ მოუწესრიგებია მძიმე ფოსტის გადმოზიდვა თავის დროზე ზუგდიდიდან, საჭირო არის, რომ მომავალში მაინც მოაწესრიგოს მისი თავთავის დროზე წალენჯიხაში მოტანა.

ქ. ვ—ია.

## პროვინცია

**რაჭა.** 13 მაისს ნაქერალას მთაზე გაძარცვეს რაჭაში სოფელ სხვავიდან მიმავალი მგზავრები: ძმები ქართველიშვილები და სხვები. მძარცველები იქნებოდენ დაახლოვებით 12 კაცი, წაიღეს, როგორც ფული, ისე ნივთები დაახლოვებით ორი მილიონის ღირებულებისა. ამის შესახებ ქართველიშვილებმა აცნობეს ადგილობრივ ადმინისტრაციას, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწიეს. ბოლოს ქართველიშვილები დაბრუნდენ თფილისში და აცნობეს მე-8 სამილიციო უბნის კომისარს, რომ მათი შეხედულებით მათ თფილისიდან გაყვენ ყაჩაღები. კომისარი—სიმონ ბოლქვაძე თავის თანამშრომლებით შეუდგა ენერგიულათ საქმის გამოძიებას. მათ აღმოაჩინეს თფილისში საქმის მომწყობნი: სიმონ ბუხარაშვილი და ისიდორე სულაძე, შემდეგ გამოირკვა, რომ დანარჩენი ყაჩაღები იყვენ ქუთაისის და რაჭის მაზრებში. კომისარმა გაგზავნა თავისი თანამშრომლები—ივლიანე ჯანელიძე და კოლია დავლინიძე, რომლებმაც დაატუსაღეს შეიარაღებული ყაჩაღები: ცნობილი შალიკო გურგენიძე, რომელსაც დიდი ხანია სდევნის ადმინისტრაცია. სხვათა შორის, ქართველიშვილების გაძარცვაში გამოტყდა მასთან რემანოზ ბაბიხოდია, რომელსაც აღმოაჩნდა თავის საკუთარ სახლში ტყვიბულში ქართველიშვილების ნაცარცვი ნივთები. ზემოხსენებულმა უფროსმა მილიციონერებმა ივლიანე ჯანელიძემ და კოლია დავლინიძემ გამოარკვიეს დანარჩენი ყაჩაღების ვინაობა და ადგილი. სახლის პატრონი, ტყვიბულში მცხოვრები კესარია ცირიკიძე დააპატიმრეს, დანარჩენ ყაჩაღებსაც სდევნიან. დიდი მადლობის ღირსია კომისარი ბოლქვაძე და მისი თანაშემწე მაყაშვილი თანამშრომლებით, მილიციონერები—ნაცვალოვი, ჯანელიძე და დავლინიძე, რომლებიც პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ეს პირველი შემთხვევა არ არის. უსურვებთ, რომ ყველა ადმინისტრაციაში მყოფთ ამისთანა ენერგია გამოეჩინოთ.

**მიხეილ გვენცაძე.**

## წერილი რედ. მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც უხვი შემოწირულობით ხელი შეუწყვეს ონის გიმნაზიის (რაჭის მაზრა) მოწყობას (შესაძენია ბიბლიოთეკა და ინვენტარი). სპირიდონ ოტიას-ძემ ბენდუქიძე შემოსწირა 25,000 მან.; რაჟდენ ყარამანისძე დათეშიძემ—20,000 მან., ალექსანდრე მიხეილისძე ჯაფარიძემ—15,000 მან.; ვარლამ ლავრენტისძე კანდელაკმა—10,000 მან.; ალექსანდრე გიორგისძე ბაქრაძემ—5000 მან.; სულ—85000 მან. ფულის მოგროვება გრძელდება.

ონის გიმნაზიის დამხმარე კომიტეტის და რაჭის ერობის დავალებით, დირექტორი ონის ქალ-ვაჟთა გიმნაზიისა **გიორგი კვიტაშვილი.**

## ცნობები

პასუხად ნიკიფორე დოლიძის მშობლებს ქალ. ოზურგეთში გიორგი ჯინჭარაძესთან).

„ერთობაში" მოთავსებული იყო ცნობა შესახებ სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატარეის ჯარის კაცის ნიკიფორე დოლიძისა, რომ მისი ადერბეიჯანის ფრონტზე გაშვების შემდეგ არა ვიცით რაო; გაცნობებთ, რომ ხსენებული ნ. დოლიძე იმყოფება იქავე ბატარეაში და წერილი, როგორც უგზავნიდით ძველი მისამართით, ისევე იგზავნება; ხოლო იმის მიზეზი, თუ რატომ ნიკიფორემ არ გაგზავნა წერილი, არ ვიცით.

სამხედრო სკოლის ნაცვალთა ათასეულის მე-3 გუნდის ჯარისკაცი **ვ. ვ. ღლონტი.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


# განცხადებანი

# იყიდება

სამ სართულიანი სახლი. ანტონოვის ქუჩა № 34 პირობების გაგება შეიძლება პლეხანოვის პროსპექტი № 162 (2303—2—1)

# იყიდება
## საკერავი მანქანა-შკაფი

**ზინგერის სისტემისა.**

პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

ექიმი
## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი
## კ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საჰმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო. ვეითალი—ექიმი

## ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკიერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საიკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**

სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე **ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
## ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
## ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

# იყიდება
## მიწა 300 საჟენი

საბურთალოზე, სადაც საყდარია. კარგია ზაოდისთვის ან ფაბრიკისათვის. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, № 9, პარიკმახერი მენთეშოვი. (2298—1—1)

# საჭიროა
## ქალაქ ბორჯომში

**ასოთ-ამწყობი,** ქართულ და რუსულ ენაზედ. პირობები კარგია. ადრესი: ქ. ბორჯომი, წ.-კითხვის წიგნის მაღაზიაში. (2301—2—1)

# განცხადება

ბორჩალოს სამაზრო ერობაში არის თავისუფალი ადგილები ექიმების: სარვანის, ავრანლოს და გომარეთის სასოფლო ამბულატორიებში და თერთმეტი ექიმის თანაშემწის (ფერშლის) ადგილი საექიმო და საფერშლო პუნქტებზე ეკატერინოვკაში, ბაშკიჩეთში, ბარმაქსიზში, სარვანში, არუხლოში, კოჩაგანში, შულავერში, არჯევან-სარვანში და გომარეთში. მსურველებმა თხოვნასთან ერთად უნდა გამოგზავნონ ცნობები წინანდელ სამსახურზე, მოწმობები: განათლების, ადგილობრივ ენების ცოდნის და ქვეშევრდომობის, ან მათი შემოწმებული ასლები.

ერობაში მოსამსახურეები ღებულობენ სასურსათო განყოფილებიდან პირველ საჭიროების ზოგიერთ საგნებს იაფ ფასებში.

თვიური ჯამაგირი: ექიმების—10,000 მან., ექიმის თანაშემწეების (ფერშლების)—8,000

(ნ. 3—1)

**ბორჩალოს სამაზრო საერობო გამგეობა.**

# ქ. თფილისის სახლის პატრონთა კავშირი

ამით აცნობებს იმ სახლის პატრონებს, რომლებსაც აქნამდის არ შემოუტანიათ ამ 1920 წლის საწევრო ფული დააჩქარონ შემოტანა. საწევრო ფულის შეგროვება დავალებული აქვს კავშირის აგენტებს, რომლებსაც აქვთ კავშირიდან სათანადო მოწმობა. კავშირთან დაარსებული არის უფასო კონსულტაცია. იქვე საჭირო არის აგენტები ფულების შესაკრებად. პუშკინის ქ. № 15.

(2244—3—3)

**გამგეობა.**

# განცხადება

რკ. გზის კოოპერატივში № 1, ვოგზლის ქ. იყიდება ყოველ დღე **ყინული** დილის 9—11 ს. ფუთი ღირს 50 მან. (ნ. 3—3)